საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№170 (10001) 2025 წლის 26 დეკემბერი, პარასკევი

„სორე სკანი იდეურ-პოლიტიკური დონე, ამხანაგო ბაჩო!“

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია დააკავა. როგორც გუშინ სუს-ში განაცხადეს, გამოძიებით დადგინდა, რომ 4 ოქტომბრის მოვლენებს ინტერნეტპლიკაციების საშუალებით ხელმძღვანელობდა ბაჩო ახალაია.

ბაჩო ახალაია 4 ოქტომბერს თბილისში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დაწყებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიების ფარგლებში ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში მოწმის სახით და ხმის ნიმუშის აღების მიზნით 10 ოქტომბერს გამოიკითხა. გამოკითხვა უკავშირდებოდა გავრცელებულ სატელეფონო ჩანაწერს, სადაც პაატა ბურჭულაძისა და ბაჩო ახალაიას საუბარი იყო ასახული.

ლილუაშვილის დაკავება და კალაძის ფაქტორი

იხ. 3 გვ.

ხელისუფლების რისკიანი და სერიოზული გადაწყვეტილება, ანუ ვინ იქნება შემდეგი?



6 7

ფრთხილად, გალაკტიონია!

აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის აკადემიური გამოხმაურება არააკადემიური საგაგეთო პუბლიკაციის გამო, ანუ

„ეს მინდა ვუთხრა მიეთ-მოეთებს“

ნაცავაზაკებს არ დაუჯეროთ!

SOS! ფასები გვახრჩობს!

სუს-მა სასურსათო ფასებთან დაკავშირებული საკითხის შესწავლა დაიწყო!

იხ. 2 გვ.

იხ. 5 გვ.

ღმერთმა დაგლოცოთ, ქადეიშვილებო!

12

ოცდამეერთე საუკუნის ინოვატორები, რომლებიც მსოფლიოს აკვირვებენ...

ანკარა-ბაქოს ღერძი და „რუსული ჭოლგიდან“ გასვლის მცდელობა

8

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

SOS! ფასები გვახრჩობს!

სუს-მა სასურსათო ფასებთან დაკავშირებული საკითხის შესწავლა დაიწყო!

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური სასურსათო ფასებთან დაკავშირებული საკითხის შესწავლას იწყებს. სუს-ის უფროსის პირველი მოადგილე ლაშა მაღრაძე აცხადებს, რომ მკაცრი სამართლებრივი რეაგირება მოჰყვება ნებისმიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომელიც ზიანს აყენებს საქართველოს მოქალაქეთა ინტერესებს და ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებას.

„მოსახლეობამ მოისმინა პრემიერ-მინისტრის განცხადება და დასახული ღონისძიებები სურსათის მართლაც რომ მაღალი ფასების პრობლემასთან დაკავშირებით. ეს განცხადება არ გაკეთდებოდა, ის არ ითქმებოდა, რაც ითქვა, ხელისუფლებას რომ სათანადო ინფორმაცია არ ჰქონოდა ამაზე. შესაბამისად, ჩემი აზრით, ეს განცხადება არის ერთგვარი „ყვითელი ბარათი“ ბაზრის ცალკეული მოთამაშეებისათვის, რომ გონს მოეგონ“, – აცხადებს ზაალ ანჯაფარიძე.

მაშ ასე, როგორც ჩანს, წინ ძალიან მნიშვნელოვანი და ხმაურიანი პროცესი იწყება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოში მოქმედი ყველა სასურსათო მარკეტი იმ გიზნესმენებს ეკუთვნის, რომლებიც დაახლოებულნი არიან სწორედ „ქართულ ოცნებასთან“, ზოგი მათგანი კი საერთოდ პარლამენტის წევრია. გარდა იმისა, რომ ფასები ხელოვნურად გაზრდილია, დასაქმებულებს უხდიან საკმაოდ დაბალ ხელფასს და როგორც წესი, ერთ თანამშრომელს უწევს ერთდროულად რამდენიმე საქმის ათვისება, რაც იწვევს რიგებს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ მოუწოდა სამართალდამცავ უწყებებს, შეისწავლონ სასურსათო ფასებთან დაკავშირებული საკითხი და დაადგინონ, ხომ არ იკვეთება დანაშაულის ნიშნები. როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, სასურსათო პროდუქტებზე ქართულ და ევროპულ ფასებს შორის სხვაობა დიდია.

„საზოგადოება ხშირად გამოხატავს წუხილს იმის გამო, რომ ქართულ სუპერმარკეტებში სასურსათო პროდუქციის ფასები ევროპულ ფასებს მნიშვნელოვნად აღემატება. საკითხის შესაფასებლად შევარჩიეთ რამდენიმე ძირითადი სასურსათო პროდუქტი, შევადარეთ საქართველოსა და ევროპის კონკრეტულ ქვეყნებში ამ პროდუქტების ფასები და გავაანალიზეთ ფასნამატის სტრუქტურა, მათ შორის, ქსელური მარკეტების საავჭრო პრაქტიკა. ქართულ და ევროპულ ფასებს შორის სხვაობა მართლაც საკმაოდ დიდია.

საქართველოსა და საფრანგეთში ერთი და იგივე საერთაშორისო ბრენდის ქსელურ მარკეტებს შორის ფასები რომ შევადაროთ, საქართველოში კონკრეტული მარკის მზესუმზირის ზეთი – 34%-ით, მაკარონი – 97%-ით, ბრინჯი – 180%-ით, კარაქი –30%-ით, ყველი – 42%-ით, ხოლო შოკოლადი –47%-ით ძვირია. ფასებს შორის სხვაობას განაპირობებს სადისტრიბუციო კომპანიებისა და მარკეტების მაღალი ფასნამატი, რომელიც საქართველოს საზღვრიდან დახლამდე, საშუალოდ, 86%-ს შეადგენს“, – აცხადებს **ირაკლი კობახიძე.**

საგაზაფხულო სესიის გახსნისთანავე, პარლამენტი შექმნის სპეციალურ კომისიას და დაიწყებს სასურსათო პროდუქტებზე ფასების ფორმირების პროცესის საჯარო შესწავლას. პარლამენტის თავმჯდომარის შალვა პაპუაშვილის განცხადებით, საკითხის შესწავლა დაწყებულია, ჩატარებულია კვლევა, გამოკვეთილია პრობლემური წერტილები.

„დაწყებულია პროცესი. ერთ-ერთ მიმართულებად დასახელდა საპარლამენტო კომისიის შექმნის იდეაც, როგორც ღია, საჯარო ფორმატი, რათა აუდიტორიამ დაინახოს საცალო პროდუქციის ფასთა ფორმირების პროცესი და ამ პროცესის შესაძლო ხარვეზები. ღია, დემოკრატიული პროცესი განაპირობებს ინფორმირებულ მოქალაქეს, რომელსაც ესმის და ჩართულია საჭირბოროტო საკითხების შესახებ დისკუსიაში და მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღებაში“, – წერს **შალვა პაპუაშვილი.**

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე ვახტანგ ცინცაძე აცხადებს, რომ საქართველოში საავჭრო მიწოდების ჯაჭვებში ფასნამატი საკმაოდ მაღალია, პროდუქციის თვითღირებულებიდან დახლამდე საშუალო ფასნამატი, დაახლოებით, 90%-ს შეადგენს, ცალკეულ პროდუქტებზე კი დღგ-ს გამორიცხვით ორჯერ და უფრო მეტად იზრდება. ამასთან, მინისტრის მოადგილე ხაზს უსვამს, რომ ადგილობრივ მწარმოებლებს უჭირთ ქსელურ საავჭრო მარკეტებში შესვლა, რასაც ის სახელშეკრულებო პირობები განაპირობებს, რომელსაც ქსელური მარკეტები მათ უწესებენ.

„აღნიშნული გამოწვევა არახალია და მხოლოდ საქართველოში არ ფიქსირდება, მსგავსი ტიპის გამოწვევები არსებობდა მათ შორის ევროპის ქვეყნებშიც და მას სხვადასხვა ქვეყნებმა სხვადასხვა ადეკვატური მექანიზმებით უპასუხეს. ჩვენი მიზანია, რომ ეს საკითხი სიღრმისეულად შევისწავლოთ, რათა გამოწვევას შესაბამისი ადეკვატური მექანიზმებით ვუპასუხოთ“, – აღნიშნა **ვახტანგ ცინცაძემ.**

რა თქმა უნდა, პრემიერის ინიციატივას უარყოფითი შეფასება მოჰყვა ოპოზიციაში, სადაც აცხადებენ, რომ მოსახლეობას ახალი საკენკი დაუყარეს. „გახარია საქართველოსთვის“ წევრი, დეპუტატი გიორგი შარაშიძე აცხადებს, რომ საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდაში სუპერმარკეტების მარჟები მხოლოდ პრობლემის ერთი მცირე ნაწილია, ძირითადი ნაწილი კი მთავრობის არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაზე მოდის.

„რა თქმა უნდა, ეს მორიგი პროპაგანდისტული სვლაა. რაც შეეხება სუპერმარკეტებს, საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდაში მათი მარჟები მხოლოდ პრობლემის ერთი მცირე ნაწილია, ძირითადი ნაწილი კი მთავრობის არასწორ ეკონომიკურ პოლიტიკაზე მოდის. გაეცანით 2024 წლის ფინანსურ მაჩვენებლებს, ორი ყველაზე მსხვილი ქსელის მაგალითზე: „ორი ნაბიჯი“ – მოგების მარჟა 6.1%, მოგება – 68.2 მილიონი ლარი. „ნიკორა“ – მოგების მარჟა 2.93%, მოგება – 34.3 მილიონი ლარი.

ამ მონაცემებიდან ირკვევა, რომ „ნიკორას“ ორჯერ ნაკლები (ევროპულთან მიახლოებული) მოგების მარჟა და ორჯერ ნაკლები სუფთა მოგება აქვს, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, „ნიკორაში“ შესული მომხმარებელი ფასების მნიშვნელოვან სხვაობას გრძნობდეს, იგივე „ორ ნაბიჯთან“ შედარებით. შესაბამისად, სუპერმარკეტების მიერ დაწესებული მოგების მარჟა, რაც კობახიძემ პროდუქტებზე ფასების ზრდის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად დაასახელა და გადაწყვიტა, სახელმწიფოს უხეში ჩარევით აიძულოს კერძო მიზნესი, საკუთარ მიზნესმოდელს გადახედოს, ვერ ჩაითვლება ერთადერთ მიზეზად და მთავარი მიზეზი სწორედ „ოცნებისვე“ არასწორ და უსამართლო სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკაშია“, – აცხადებს **გიორგი შარაშიძე.**

„ლელოს“ წევრი **თაზო დათუნაშვილი** აცხადებს, რომ საახალწლოდ ყველა მოქალაქე მთავრობას აგინებს იმ ფასების გამო, რაც ბაზრებსა და სუპერმარკეტებში ხვდება, ამიტომ კობახიძეს დამნაშავედ და მონსტრად მიზნესი გამოჰყავს. მისი თქმით, ეს არის ანონსი, რომ ვიღაცებს ფასების გამო დაიჭერს.

ოპოზიციის კიდევ ერთი სახე, რომან გოცირიძე თვლის, რომ კობახიძის მოწოდება სამართალდამცავებისადმი, რომ მიხედონ სუპერმარკეტებში ფასების ზრდას, არის რეპრესიების გაფართოება მიზნესსფეროში და საბჭოთა „ობეხეეს“-ის სისტემის რეანიმაცია. მისი თქმით, „ქართული ოცნების“ მთავრობა სავაჭრო ქსელის რეპრესიებს იწყებს, მაღალი ფასების მომიზეზებით.

ანალიტიკოსის **ზაალ ანჯაფარიძის** შეფასებით, პრემიერის განცხადება არის ერთგვარი „ყვითელი ბარათი“ ბაზრის ცალკეული მოთამაშეებისათვის, რათა გონს მოეგონ.

ანალიტიკოსის **ედიშერ გვენეტაძის** განცხადებით, საქართველო კონსტიტუციით სოციალური სახელმწიფოა. ამიტომ, როგორც კი პრემიერმა განაცხადა იმის შესახებ, რომ წესრიგი უნდა დამყარდეს და შესწავლილი იქნას სხვადასხვა სავარაუდო მაქინაციები, რომელსაც მიმართავენ სხვადასხვა მარკეტები და სადისტრიბუციო კომპანიები, მაშინვე თავი წამოყვეს ნაცავაზაკებმა.

„რომელთა შორის გამოვყოფდი განსაკუთრებით შუბლძარღვგაწყვეტილ რომან გოცირიძეს, რომელმაც 1990-იან წლებში, ვიცე-პრემიერობის დროს, როგორც გურულები იტყვიან, კუდის რიკამდე ტყავი გააძრო მშრომელ მოსახლეობას, ანუ ჩაატარა უდიდესი აფიორა – შემნახველ სალაროებში შეატანინა ადამიანებს გაორმაგების დაპირებით დანაზოგები და შემდეგ მთლიანად წაართვა სიმწრით ნაგროვები ფული. აი, ასეთი თაღლითები ეწინააღმდეგებიან იმ დაწყებულ პროცესს, რომელსაც ჰქვია ფასების დაწევის პროცესი, რაც შვებას მიანიჭებს უბრალო ადამიანებს, მაგრამ საქაფავს მოაკლებს გოცირიძისნაირ გაქნილ, გაცვეთილ აფერისტავაზაკებს.

მერე იტყვიან კიდევ ეს გონებადაცლილები, არჩევნები გაგვიყალბესო. არადა, ბღავიან: გარეჯი საქართველოსი როდის იყოო; საქართველოს ბედი აშშ-მა და ევროკავშირმა უნდა გადაწყვიტოსო; საქართველოს მტერი ზელენსკი და მისი ხროვა, გმირები არიანო; ქართველი პოლიციელების პოტენციური მკვლელი გრიგორიადისი გმირთა გმირიაო; საქართველოდან რუსეთში შავი ხვრელი გადის და საქართველო დაბომბეთო; უკრაინაში მებრძოლი ჩვენი გმირები, იქ რუსის დამარცხების შემდეგ, აფხაზეთის მხრიდან ტანკებით შემოვალთ და ერთიანად გადაგხნავთ საქართველოსო; გვრცხვენია საქართველოს თავზე ბომბები, რომ არ აცვივაო; რატომ უნდა იყოს საქართველოში უფასო უმაღლესი განათლებაო; ცალ ფეხზე უნდა ვიხტუნოთ უცხოელების წინაშეო; არამც და არამც არ უნდა დაიწიოს ფასებმა საქართველოში პროდუქტებზეო. შემიძლია კიდევ გავაგრძელო, მაგრამ აი, ამ უცხოელებისგან დაკვეთით ჭკუანაღრძობებს უნდათ, რომელიმე არჩევნების მოგება. გამორიცხულია!“, – აცხადებს **ედიშერ გვენეტაძე.**

თამთა ქარჩავა

ხელისუფლების რისკიანი და სერიოზული გადაწყვეტილება, ანუ ვინ იქნება შემდეგი?

ლილუაშვილის დაკავება და კალაძის ფაქტორი

თბილისის მერია და პირადად დედაქალაქის მერი კახა კალაძე რეგიონანსული სკანდალის ეპიცენტრში მოექცნენ. საქმე ეხება პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ექს-შეფი გრიგოლ ლილუაშვილი, სავარაუდოდ, მფარველობდა თბილისის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ყოფილ ხელმძღვანელს კახა გვანცელაძეს. გამოძიების ვერსიით, ადგილი ჰქონდა ე.წ. „ატკატების“ სისტემას, სადაც ბაღებისთვის განკუთვნილი შესყიდვებიდან თანხები კორუფციული გზით ნაწილდებოდა.

კალაძის პასუხისმგებლობის საკითხი

კორუფციის მკვლევარები და ოპოზიციურად განწყობილი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ შეუძლებელია, ასეთი მასშტაბის სქემა მერის გვერდის ავლით არსებულიყო. „სამოქალაქო მონაწილეობის ცენტრის“ დამფუძნებელი **ირაკლი აბესაძე** ორ შესაძლო სცენარზე საუბრობს:

> **„შეუძლებელია, ამ ყველაფერზე პასუხისმგებლობას გაურბოდეს თბილისის მერი, რომელიც ორი ვარიანტია – ან არის სრული დოყლაპია და ვერ აკონტროლებს ვერაფერს მის უწყებაში, მის ცხვირწინ ბავშვების ფულს იპარავენ, იპარავს სუს-ის ხელმძღვანელი და მას არ შეუძლია, ეს დააფიქსიროს და აღმოაჩინოს, ან ისიც თავად ჩართულია ამ, ან სხვა სფეროებიდან „ატკატების“ და ფულის აღებაში და სწორედ ამიტომ, ის დუმს“,** – განაცხადა მან.

აბესაძის თქმით, ეს ფაქტი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სხვა მსხვილ პროექტებსაც, მათ შორის, ავტობუსების 60-მილიონიან ტენდერსა და მშენებლობის ნებართვებს. ანალოგიურ ეჭვებს გამოთქვამს მკვლევარი **ბესიკ დონაძეც**, რომელიც მიიჩნევს, რომ ინფორმაციის არქონა თავისთავად დანაშაულია:

> **„კარგ შემთხვევაში, ვერ აკონტროლებს და თუ ვერ აკონტროლებს, მაშინ, უნდა წავიდეს თანამდებობიდან. თუ იცოდა და თვალს ხუჭავდა, ეს ნიშნავს, რომ იღებდა სარგებელს, თუ არ იღებდა, კორუფციაშია ჩართული“,** – განაცხადა **დონაძემ.**

კახა კალაძე გამოძიების მოლოდინში

თავად თბილისის მერი **კახა კალაძე** გრალდებებს პირდაპირ არ პასუხობს და აქცენტს სამართლებრივ პროცესებზე აპეთებს. მან თავი აარიდა კითხვას, იცოდა თუ არა ლილუაშვილ-გვანცელაძის კავშირების შესახებ, თუმცა კორუფციასთან გრძოლის პროცესი დადებითად შეაფასა:

> **„იმაზე მეტს ვერაფერს ვიტყვით, რაც მოვისმინეთ შესაბამისი უწყების მხრიდან. გამოძიება მიმდინარეობს ყველა მიმართულებით... ზოგადად, მივესალმებით კორუფციის წინააღმდეგ გრძოლას. ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება. სასიამოვნოა, რომ შესაბამისი უწყებები დგამენ კონკრეტულ ნაბიჯებს“,** – განაცხადა **კალაძემ.**

აღსანიშნავია, რომ მთავარი ფიგურანტი, კახა გვანცელაძე ქვეყანაში აღარ იმყოფება და მან საქართველო 2023 წელს, ოფიციალურად, „ჯანმრთელობის პრობლემების“ გამო დატოვა.

ხელისუფლებისა და საკრებულოს რეაქცია

მმართველი გუნდის წევრები სიფრთხილეს იჩენენ და უდანაშაულობის პრეზუმფციაზე მიუთითებენ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაგ აბაშიძე** აცხადებს, რომ სარევიზიო კომისიას დარღვევები არ აღმოუჩენია:

> **„პიროვნება, ვინც დასახელებულია, სანამ ამ ადამიანს არ დაუდგინდება გრალი და სანამ სასამართლო არ ცნობს მას დადასტურებულად დამნაშავედ, ჯერ მოვერიდოთ ყველაფერს... პირიქით, ჩვენ არანაირი დარღვევა არ გვინახავს“,** – თქვა მან.

პარლამენტის წევრი **ბექა დავითულიანი** კი მიიჩნევს, რომ კონკრეტული პირების დანაშაულის შეფასება საკრებულოს კომპეტენციას სცილდება:

> **„კონკრეტულად ვინმე თუ რამეს აშავებდა, ამას ვერ შეაფასებს საკრებულოს დეპუტატი“,** – თქვა მან.

„პროგრეს ბანკი“ – პოლიტიკური შურისძიება?

პარალელურად, დღის წესრიგში დადგა კალაძის მიერ დაფუძნებული „პროგრეს ბანკის“ საკითხიც. ფინანსური პოლიცია ბანკის სრულ დოკუმენტაციას სწავლობს. ვრცელდება ვერსია, რომ საქმე, შესაძლოა, ეხებოდეს ფულის გათეთრებას, რადგან ბანკის ერთ-ერთი აქციონერი **ილია გავრილოვი** რუსეთში ფინანსური მაქინაციებისთვის დააკავეს.

კალაძე ადასტურებს, რომ გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა ამას არა ფინანსურ დანაშაულს, არამედ შანტაჟს უკავშირებს. კორუფციის მკვლევარებს შორის გაჩნდა ეჭვი, რომ კალაძე, როგორც მაღალი რეიტინგის მქონე არჩეული მერი, შესაძლოა, შიდაპარტიული დაპირისპირების ან პოლიტიკური შურისძიების სამიზნე გახდა.

პოლიტიკური რისკები

კახა კალაძე არჩეული მერია და მას მყარი პოლიტიკური პოზიციები აქვს, რაც ამ საქმეს განსაკუთრებულ სიმძაფრეს სძენს. თუმცა, იმ ფონზე, როდესაც გრალდებები ყოფილ პრემიერ-მინისტრ **ირაკლი დარიგაშვილს** მიმართაც ისმოდა, გამორიცხული არაფერია.

წინასწარი ვერსიით, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს „პოლიტიკურ თამაშს“, სადაც კორუფციული სქემების მხილება გარკვეული ჯგუფების დასასუსტებლად გამოიყენება. საბოლოო პასუხებს მხოლოდ გამოძიება და სასამართლო პროცესი გასცემს, მანამდე კი კითხვები – **„იცოდა თუ არა მერმა“** და **„არის თუ არა ეს შანტაჟი?“** – პასუხგაუცემელი რჩება.

ანალიტიკოსი **რამაზ საყვარელიძე** FOR.GE-სთან ამბობს, რომ სიტუაცია ნამდვილად რთულია და არავინ იცის, რა დროს, რა შეიძლება მოხდეს. მისი აზრით, იქ, სადაც პრემიერსა და სუს-ის უფროსს გრიგოლ ლილუაშვილს ბრალი წაუყენეს, აღარაფრის გამორიცხვა შეიძლება.

> **„ვიცით, რომ პრემიერი ირაკლი დარიგაშვილი, ფაქტობრივად, მიძინა ივანიშვილის შვილობილად ითვლებოდა. ის მან შვილივით გაზარდა. თუმცა, მიუხედავად ამისა, როცა მასთან დაკავშირებით კითხვები გაჩნდა და გამოძიება დაინტერესდა, ხელი არავის დაუფარებია. იგივე ხდება სუს-ის უფროსთან დაკავშირებითაც. ლილუაშვილიც საკმაოდ ახლო და სანდო გარემოცვად ითვლებოდა.**

> **თუმცა აქაც, როცა მასთან დაკავშირებით კითხვები და ეჭვები გაჩნდა, მას ვერ უშველა ვერც მისმა გავლენებმა და ვერც ახლობლობამ. ამიტომ კალაძესთან დაკავშირებითაც რთულია იმის თქმა, როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს. რა თქმა უნდა, ის არის არჩეული მერი, რომელსაც ნამდვილად დიდი რეიტინგი და მხარდაჭერა აქვს. შესაბამისად, პოლიტიკურად ეს არ იქნება მარტივი საკითხი. ამიტომ ვხედავთ, რომ თუ რამე მყარი მტკიცებულებები არ არსებობს, ხელისუფლება არ იღებს ემოციურ ნიადაგზე, მტკიცებულებების გარეშე გადაწყვეტილებას“,** – ამბობს **საყვარელიძე.**

მისივე თქმით, ლილუაშვილის დაკავება ძალიან სერიოზული გზავნილია, როგორც კალაძისთვის, ასევე სხვა მაღალი თანამდებობის პირებისთვის, რომ არავის ახლობლობა და მეგობრობა არ იქნება დანაშაულის გარანტია და ინდულგენცია. ამასთანავე, ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ ეს არის სიგნალი ქვეყნის მოსახლეობისთვის, დასავლეთისა და რუსეთისთვისაც კი.

> **„ეს არის ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი სიგნალი ხელისუფლების მხრიდან ყველას მიმართ. აქ ვხედავთ, რომ რუსეთის ფაქტორიც გამოჩნდა და ქოლცენტრებთან დაკავშირებით, რუსული კვალიც აშკარაა. ამიტომ, ხელისუფლების გადაწყვეტილება ძალიან რისკიანი და სერიოზულია. საუბარი იმაზე, თითქოს, ხელისუფლება პრორუსულია, ოპოზიციის ნარატივს კიდევ უფრო აცამტვერებს. ასევე, დასავლეთს უგზავნის სიგნალს, რომ საქართველოს ხელისუფლება არ შეეგუება არანაირ ზეწოლას და არც იმას, რომ საქართველოს სახელმწიფოს რაიმე მხრივ საფრთხე შეექმნას“,** – ამბობს **საყვარელიძე.**

ლიკა ბერიკაშვილი

კალაძე ადასტურებს, რომ გამოძიება მიმდინარეობს, თუმცა ამას არა ფინანსურ დანაშაულს, არამედ შანტაჟს უკავშირებს. კორუფციის მკვლევარებს შორის გაჩნდა ეჭვი, რომ კალაძე, როგორც მაღალი რეიტინგის მქონე არჩეული მერი, შესაძლოა, შიდაპარტიული დაპირისპირების ან პოლიტიკური შურისძიების სამიზნე გახდა.

ილიას გზით!

თავს ვიხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის – ქართველი ერის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და ჩემი გონება

ჩვენი დროის ცოცხალი წმინდანის აღსაყდრებიდან 48-ე წელიწადი გასულა

„ვულოცავთ მის უწმინდესობასა და უნეტარესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს, მცხეთა თბილისის მთავარეპისკოპოსს და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტ ილია II-ს აღსაყდრებიდან 48 წლისთავს", – ამის შესახებ საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი. ამასთან, საპატრიარქო აღსაყდრების დღეს, 1977 წლის 25 დეკემბერს, 48 წლის წინ სვეტიცხოველში წარმოთქმულ სიტყვას აქვეყნებს.

„მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს, საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს, ღვთის ამ წმინდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა...

თავს ვიხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის – ქართველი ერის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ემსახუროს ჩემი ძალი და ჩემი გონება: უნდა ემსახუროს იმ სარწმუნოებით, რომლის დაცვისა და შენარჩუნებისათვის დაწყებული მცხეთაში მაცხოვრის კვართის მოტანიდან, ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ერმა. ქართველი ერი და ქართული ეკლესია მუდამ ერთად იყვნენ ჩვენი სამშობლოს ყველა ძნელბედობის ჟამს...

ჩვენს ერში მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცება, როგორც ყოველთვის, ახლაც იქნება ჩვენი ეკლესიის საქმიანობის პირველი საზრუნავი...

ჩვენ ვემსახურებით სიკეთეს... წარმოუდგენელია ქრისტიანი სიკეთის გარეშე... ვერც სიყვარული, ვერც სასოება ვერ იარსებებს სიკეთის გარეგან. ვერც სათნოება და ვერცა მშვიდობა ვერ დამყარდება კაცთა შორის, სიკეთის გარეშე...

მაშ ასე, შრომასა და ბრძოლაში გამობრძმედილო, ქრისტეს სჯულის ერთგულო ძვირფასო სამწყსოვ!

შევთხოვოთ ღმერთს, რომ წარგვიძღვეს წინ... რომ ქართული ეკლესიების ზარების რეკვა წინანდებურად ომისა და უბედურების მაცნე კი არ ყოფილიყოს ჩვენი ერისთვის, არამედ სარწმუნოების, სასოების, სიყვარულის, შრომისა და სიკეთის ზეიმისა"!..

1977 წლის 25 დეკემბერი

ბიძინა ივანიშვილი:

48 წელია, საქართველოს სულიერი მამა, უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე ღირსეულად, პატიოსნად ემსახურება ჩვენს ეკლესიას, ჩვენს რწმენასა და სამშობლოს, – ამის შესახებ „ქართული ოცნების საპატიო თავმჯდომარის **ბიძინა ივანიშვილის** მილოცვაშია ნათქვამი.

„შეუფასებელია უწმინდესის ღვაწლი ქართველების ერთიანობის, ქრისტიანობისა და სახელმწიფოებრიობის განმტკიცების საქმეში. მრავალი ქარტეხილის მიუხედავად, თითქმის ნახევარი საუკუნეა, ილია მეორე ღირსეულად ატარებს ერის სულიერი მამის მძიმე ჯვარს.

ჩემი და ჩემი მეუღლის ეკატერინა ხვედელიძის სახელით ვულოცავ პატრიარქს აღსაყდრების იუბილეს, ვუსურვებ მას ჯანმრთელობასა და მხნეობას, რათა კიდევ მრავალი წელი იღვაწოს მართლმადიდებლური ფასეულობების განმტკიცებისათვის".

მიხეილ ყაველაშვილი:

ჩვენი ქვეყნისთვის ბოლო ნახევარი საუკუნე უდიდესი გამოწვევებითა და განსაცდელებით იყო აღსავსე და საგანგებოდ, ქართველმა ხალხმა ეს ურთულესი პერიოდი ილია მეორის სულიერი წინამძღოლობით გაიარა.

მისი უწმინდესობის ღვაწლი საქართველოს თანამედროვე ისტორიის წინაშე განუზომლად დიდია. მისმა სიბრძნემ, ჩვენთვის მოცემულმა შენდობისა და შერიგების მაგალითმა, უფლისა და სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა, ჩვენს ქვეყანას უამრავი სიკეთე მოუტანა.

ჩვენს ძვირფას კათოლიკოს-პატრიარქს უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით ვულოცავ დღევანდელ დღეს, ჩვენი ერის, სამშობლოსა და დედაეკლესიის სიმტკიცისთვის დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ვუსურვებ.

ირაკლი კობახიძე:

თითქმის ნახევარი საუკუნეა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, როგორც ერის სულიერი მამა, წინ მიუძღვის ჩვენს ქვეყანას.

ფასდაუდებელია მისი ღვაწლი საქართველოს წინაშე სულიერების, რწმენის განმტკიცებისა და სიკეთის დათესვის საქმეში. ჯანმრთელობასა და მხნეობას ვუსურვებ მას საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ჩვენი ერის მართლმადიდებლური ღირებულებების კიდევ უფრო გაძლიერებისთვის!

კახა კალაძე:

„უდიდესი პატივისცემით და სიყვარულით ვულოცავ ჩვენი ერის სულიერ წინამძღვარს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს აღსაყდრებიდან 48 წლისთავს!

დიდია მისი ღვაწლი ჩვენი სახელმწიფოს განვითარებაში, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის აღორძინებასა და ერში რწმენის განმტკიცებაში. ვუსურვებ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას!

მნიშვნელოვნად გაიზარდა რკინიგზის გამტარუნარიანობა, გაძლიერდა უსაფრთხოება და გაუმჯობესდა მგზავრთა კომფორტი

საქართველოს რკინიგზის მასშტაბური მოდერნიზაციის პროექტი დასრულდა – ეს არ არის მხოლოდ ინფრასტრუქტურული განახლება, ეს არის მკაფიო პოლიტიკური და სტრატეგიული არჩევანი, რომელიც საქართველომ გააკეთა საკუთარი მომავლის, ეკონომიკური სიძლიერისა და გლობალურ პროცესებში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი კობახიძემ** საქართველოს რკინიგზის მოდერნიზაციის პროექტის დასრულებისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ქართული რკინიგზა დღეს გადადის ახალ ეტაპზე, რომელიც პასუხობს XXI საუკუნის გამოწვევებს, ტექნოლოგიურ სტანდარტებს და გლობალური ვაჭრობის ახალ რეალობას.

დღეს ჩვენ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას აღვნიშნავთ – საქართველოს რკინიგზის მასშტაბური მოდერნიზაციის პროექტი დასრულდა. ეს არ არის მხოლოდ ინფრასტრუქტურული განახლება. ეს არის მკაფიო პოლიტიკური და სტრატეგიული არჩევანი, რომელიც საქართველომ გააკეთა საკუთარი მომავლის, ეკონომიკური სიძლიერისა და გლობალურ პროცესებში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.

„რკინიგზა ყოველთვის იყო საქართველოს სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკისა და დაკავშირებადობის მნიშვნელოვანი საყრდენი. საქართველოს ახალი ხვალინდელი დღის შესაქმნელად მუხლჩაუხრელად მუშაობს 10 000-ზე მეტი რკინიგზელი. 1872 წელს დაფუძნებული ქართული რკინიგზა დღეს, 153 წლის შემდეგ, ახალ ეტაპზე გადადის – ეტაპზე, რომელიც პასუხობს XXI საუკუნის გამოწვევებს, ტექნოლოგიურ სტანდარტებს და გლობალური ვაჭრობის ახალ რეალობას", – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, პროექტის ფარგლებში აშენდა ახალი ხიდები და გვირაბები, 100-ზე მეტი საინჟინრო ნაგებობა, დაიგო დაახლოებით 100 კილომეტრი ახალი ლიანდაგი და დამონტაჟდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხოების სისტემები.

„პროექტის ფარგლებში განხორციელდა უპრეცედენტო მასშტაბის სამუშაოები: აშენდა ახალი ხიდები და გვირაბები, 100-ზე მეტი საინჟინრო ნაგებობა, დაიგო დაახლოებით 100 კილომეტრი ახალი ლიანდაგი და დამონტაჟდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხოების სისტემები. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური ინვესტიცია, რაც თანამედროვე საქართველოს სატრანსპორტო სექტორში განხორციელებულა.

ამ პროექტის დასრულებით მნიშვნელოვნად გაიზარდა საქართველოს რკინიგზის გამტარუნარიანობა, შემცირდა საოპერაციო ხარჯები, გაძლიერდა უსაფრთხოება და გაუმჯობესდა მგზავრთა კომფორტი. ჩვენ შევქმენით ინფრასტრუქტურა, რომელიც ემსახურება არა მხოლოდ დღევანდელ, არამედ ხვალინდელ ეკონომიკას", – განაცხადა პრემიერმა.

ღმერთმა დაგლოცოთ, ქადეიშვილებო!



ქართული გვარები მეტად მრავალფეროვანია. გვარის ფუძე ხშირად შეცვლილია რამდენიმე ასობგერით, რაც მკითხველში გაუგებრობას იწვევს, არადა, დროთა განმავლობაში ისტორიულმა გვარმა სახე იცვალა სხვადასხვა მიზეზით. სწორედ ასეთ „გაუგებრობას“ განეკუთვნება ქადიეშვილებისა და ქადეიშვილების გვარების ისტორია.

ეკატერინე ქადეიშვილი

მიუხედავად გვარში არსებული სხვაობისა, ეს ორი გვარი ერთი ფუძის არიან და კეთილგონიერებამ გაიმარჯვა. 2021 წლის 6 ივნისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დალოცა გვარის ორივე შტო, ხოლო საგვარეულო კავშირი 2020 წლის 1 იანვარს დააფუძნეს და ხელმძღვანელი ორგანოც ჩამოაყალიბეს გიორგი ქადეიშვილის, გრიგოლ, ლაშა და მიხეილ ქადეიშვილების შემადგენლობით.

დაიწერა წმინდა გიორგის საგვარეულო ხატი და საგვარეულო გერბი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ შრომაში ააშენეს სამლოცველო, შემოწირულობის თანხას ახმარენ გაჭირვებულ ოჯახებს.

გვარის დამფუძნებლებმა დაიწყეს გვარის ისტორიის შესწავლა, რაც მეტად სასიამოვნო დასაწყისია.

საინტერესოა თვით ქადეიშვილების გვარის ისტორიაც.

როგორც ირკვევა, გურულები, გვარად ვარდანისძეები ყოფილან, ხოლო გურულობა ტიტული ყოფილა, როგორც გურიის მფლობელებისა. თავიდან გურიის ერისთავები, XVI საუკუნიდან დამოუკიდებელი მთავრები გახდნენ.

გურიელად იწოდებოდა ფეოდალური სახლის უფროსი, სახლის სხვა წევრები – ბატონიშვილებად. გურიელების საზაფხულო რეზიდენცია იყო უჩხუბი, ზამთრისა კი – ოზურგეთი. მამია V გურიელმა რეზიდენცია მთლიანად ოზურგეთში გადაიტანა. საგვარეულო საძვალე – შემოქმედის ეკლესია, საბატონიშვილო მამული – ლესა. XIV საუკუნის დასაწყისში მოღვაწეობდა ბეშქენ გურიელი და მისი ძე მიქელა, რომელიც მოხსენიებულია ბაღლეგის ეკლესიაში, ჯუმათის ეკლესიის მონასტრის წმინდა გიორგის ოქროს ხატის წარწერებში. ასევე საეკლესიო წიგნებშია მოხსენიებული ქადიე ბატონიშვილი, მედროშე გურიელი, რომელმაც ააგო წმინდა გიორგის სახელობის ხის ეკლესია, რომელიც მოღალატეობრივად მოკლეს და მისი შვილები გადაასახლეს ოსმალეთში. შთამომავლის დაბრუნების შემდეგ, კახაბერ გურიელის დროს XIV საუკუნის შუა წლებში მოიხსენიებოდნენ ეკლესიის აზნაურებად. იმდროინდელი ეკლესიის კარის თაღის ქვა ინახება ოზურგეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში წარწერით „ქ(შენ) სახელითა ღმრთისათა წ(მიდა) გ(იორგ)-ის (ე)კლესია პატრონმან ქადია აღაშენა სადიდებლად“ სახელისა მისისა“.

ამის შემდეგ მისი შთამომავლები იწოდებიან ე-ქადიეს შვილებად, ე თავსართის მოცილების შემდეგ დარჩა გვარი ქადიე-ქადეიშვილებად.

დღეს მოქმედი საეკლესიო პირია სქემ მონაზონი ეკატერინე ქადეიშვილი რუისის წმინდა კვირიაკეს და ივლიტას სახელობის დედათა მონასტერში.

თანამედროვე, გვარში გამოჩენილი პირები არიან **თორნიკე ქადეიშვილი,** ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკადემიკოსი;

ალექსი ქადეიშვილი, წორცორდიდის ბიომეტრიული სისტემის დირექტორი;

ხათუნა ქადეიშვილი, პროფესორი, ექიმი ინფექციონისტი, რომელიც აშშ-ში მოღვაწეობს; **გიგა გიორგის ძე ქადეიშვილი**, საქართველო-ჩეხეთის სათვისტომოს წევრი, გამოთვლითი მათემატიკის პროგრამისტი, დოცენტი; **გრიგოლ (გიგა) ნუგზარის ძე ქადიეშვილი,** საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტიის საორგანიზაციო მდივანი; **ნათია ვახტანგის ასული ქადეიშვილი,** თერაპევტი, პარანთელოგი, ლექტორი, რეზიდენტურის ხელმძღვანელი; **ზურაბ შალვას ძე ქადეიშვილი,** სამგზის საქართველოს ჩემპიონი ტაეკვანდოში, შავი ქამრის მფლობელი, პოლონეთის სათვისტომოს წევრი; **გიორგი თეიმურაზის ძე ქადეიშვილი,** პედაგოგი, ავეჯის და ინტერიერის დიზაინერი, ქადიეშვილებისა და ქადეიშვილების გვარის წინამძღოლი. დაიბადა 1971 წლის 9 თებერვალს ქალაქ თბილისში, დაამთავრა თბილისის 1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლა, ორბელიანის პედაგოგიური ინსტიტუტი, სტაჟირება გაიარა ჩეხეთში, ავეჯის საწარმო „კუბალეკში“. ამ პერიოდში იყო საქართველო-ჩეხეთის სათვისტომოს წევრი. ქართულ-ჩეხური სამონტაჟო სამრეწველო ფირმის „გრუკის“ ხელმძღვანელი. სამშობლოში დაბრუნების შემდგომ, 2002-2004 წლებში პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა.

ამირან ქადეიშვილი

გიგა ქადეიშვილი

დააარსა ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში სკოლის ტერიტორიაზე სამლოცველო, ეწეოდა მეცენატობას სოფლის ეკლესიის მშენებლობაში. 2004 წლიდან დღემდე ავეჯის და ინტერიერის დიზაინის ფირმა „დიზო“-ს დირექტორია.

გვარების წინაპრები რევოლუციონერები ყოფილან. ცნობილია სოციალ-დემოკრატების, ძმების: **ლევარსი, გიორგი, ვლადიმერ, სიო** და **დათა ქადეიშვილების** წარსული, გადასახლებულები ყოფილან მეფის რუსეთის რეჟიმის მიერ და შემდგომ დაუხვრეტიათ. ასევე იყვნენ ძმები: **აქვსენტი** და **თარალე ქადეიშვილები,** ფირალები, გადასახლებულები და რეპრესირებულები ყოფილან ბოლშევიკების მიერ.

ლავრენტი ქადიეშვილი 1924 წლის აჯანყების მონაწილე ყოფილა, 1935 წელს ბოლშევიკებს დაუხვრეტიათ.

თეიმურაზ ქადეიშვილი – პროკურორი, პუბლიცისტი, სამამულო ომის ვეტერანი, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს დამსახურებული პირველი კლასის იურისტი, საკონსტიტუციო სასამართლოს მრჩეველი; **მარიამ** და **გუგული ქადეიშვილები** სოციალისტური შრომის გმირები იყვნენ.

ირაკლი (პავლე) ქადეიშვილი, ექიმი, დაიღუპა აფხაზეთის ომში, დაჯილდოებულია მედლით მხედრული მამაცობისთვის სიკვდილის შემდგომ, დაკრძალულია მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე. ოზურგეთში ერთ-ერთი ქუჩა მის სახელს ატარებს.

ლაშა (გიორგი) ქადეიშვილი, საქართველო-ავსტრიის სათვისტომოში არსებული ტელევიზია „კავკასია“-ს დამფუძნებელი; **ამირან ქადეიშვილი,** მსახიობი და დრამატურგი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ოზურგეთის თეატრის წინ გახსნილია მისი სახელობის ვარსკვლავი.

ნუნუ ქადეიშვილი, ლინგვისტი, პედაგოგი, მთარგმნელი, პროფესორი;

იოსებ ქადეიშვილი, ინჟინერ-გამომგონებელი, კონსტრუქტორი, პროფესორი.

ღმერთმა დალოცოს და ამრავლოს ქადეიშვილების გვარი.

გიორგი ქადეიშვილი,
ქადიეშვილების-ქადეიშვილების გვარის წინამძღოლი

„წმიდა ოთხთავი მოქვის სახარების ილუსტრაციებით“

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში წიგნის – „წმიდა ოთხთავი მოქვის სახარების ილუსტრაციებით“ – წარდგენა გაიმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკის ინფორმაციით, ღონისძიება აფხაზეთის ა/რ იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს ორგანიზებითა და ეროვნული ბიბლიოთეკის მხარდაჭერით ჩატარდა.

ოთხთავის ტექსტი, ყველა არსებული რედაქციისა და ნუსხის მიხედვით, გამოსაცემად მოამზადა ედიშერ ჭელიძემ.

ღონისძიებაზე საზოგადოებას სიტყვით მიმართა ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორმა **კონსტანტინე გამსახურდიამ.**



„საჭირო და მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ოთხთავის გამოცემით. ზოგადად, აუცილებელია ქართველი კლასიკოსების იმ ნაწარმოებების თარგმნა რუსულად და აფხაზურად, რომლებშიც აფხაზეთია ნახსენები. ასევე რუსულად უნდა ითარგმნოს აფხაზეთის საკათალიკოსოს ისტორია, რომელიც ქართული საკათალიკოსოს ისტორიაა.

ზვიად გამსახურდიამ ანდრეი სახაროვთან პოლემიკაში აღნიშნა, რომ აფხაზეთი საქართველოს მეორე სახელია, ისევე როგორც ალბიონი – ინგლისისო. როგორც ძველად იტყოდნენ – მომავალ წელს იერუსალიმში, ზუსტად ასე – მომავალ წელს აფხაზეთში“, – განაცხადა **კონსტანტინე გამსახურდიამ.**

ჩემო ძვირფასო მკითხველო, იმედია, არ მიწყენთ, თუ ისევ გალაკტიონის თემას მივუბრუნდები და ბევრ მართალ ამბავს გეტყვით, ძირითადად, აკადემიურად, მაგრამ ზოგჯერ იუმორითა და ირონიით.

ხომ გსმენიათ, როგორ მტრობდნენ ფეხით მოსიარულე ღმერთს პოეზიისა თავად მწერლები და პოეტები, როგორ უწუნებდნენ მას ხან დიდებულ რითმებს, ხან იდუმალი შინაარსით დატვირთულ ხატებსა და სიტყვიერ გამოცანებს. გალაკტიონს არ სურდა, რომ ის ყველასთვის **გასაგები** ყოფილიყო, მაგრამ მტკიცედ სწამდა, რომ **გაგებული** იქნებოდა. ყოველივე ეს კი დიდ ცოდნასა და განსწავლულობას მოითხოვდა მკითხველისგან, თუნდაც, სამომავლოდ. ამოტომაც გვიანდერძა:

ვაშა მას, ვისაც ცოდნისთვის
ძალა არ დაუზოგია,
გაბრწყინდეს მეცნიერება –
გალაკტიონოლოგია.

მადლობელი ვარ ბედის, რომ ბაირონოლოგიის პარალელურად, ბოლო სამი ათეული წელია, ვმუშაობ გალაკტიონოლოგიაში, ხოლო ბოლო ათი წელია – რუსთველოლოგიაში.

ისევ გალაკტიონის მტრობას დავუბრუნდეთ და გავიხსენოთ, თუ როგორ იბრძოდა პოეტი იმისთვის, რომ მისი პოეზია ეთარგმნათ. გავიხსენოთ ჩანაწერი პოეტის უბის წიგნაკიდან: „...ერთი რამ ნათელია ჩემთვის: როდესაც ძალიან ბევრს გაიძახიან, რომ გ. ტაბიძის მთარგმნელები არ ვარგანან და ამ ტრაფარეტულ წამოძახილს სისტემური ხასიათი ეძლევა. ვიღაც ძლიერ დაინტერესებულია არა იმით, რომ გაუმჯობესდეს თარგმანის საქმე, არამედ იმით, რომ დააბინონ მთარგმნელები, აქაოდა გალაკტიონ ტაბიძის თარგმნა ყოვლად შეუძლებელია, ის თითქოს ტალანტია და მთარგმნელიც გენია უნდა იყოსო. თორემ ჩვეულებრივი მთარგმნელი მას სულ ვერ მისწვდება და აუცილებლად დამარცხდებაო. რომ არ დამარცხდეს, ჩვენ მაინც მას მხარს არ დავუჭერთო. და აი, მთარგმნელი იძულებული ხდება, ახლოს არ გაეკაროს სათარგმნელად ჩემს მასალას. მაშინ როდესაც „ვეფხისტყაოსანს“ თარგმნიან , არავის აზრად არ მოსდის შეუძახოს მთარგმნელს, როგორ ბედავ „ვეფხისტყაოსანზე“ მუშაობასო... არსად ისე გატაცებით არ გაიძახიან, რომ ტაბიძის თარგმნა შეუძლებელია, როგორც ჩვენში.“

როგორც იქნა, იმედის სხივმა გამოანათა და, სწორედ რუსთველის მთარგმნელმა, საქართველოში მცხოვრებმა ახალგაზრდა პანტელეიმონ პეტრენკომ გამოთქვა მზაობა, ეთარგმნა გალაკტიონი რუსულ ენაზე. საუბედუროდ, პეტრენკო მალევე ტრაგიკულად დაიღუპა. გალაკტიონმა დაწერა, რომ მისი მომავალი მთარგმნელი გაურკვეველ ვითარებაში გადავარდა ხიდიდან მტკვარში. რა იცოდა მაშინ პოეზიის მეფემ, რომ თავადაც მის ბედს გაიზიარებდა და იმიერში სწორედ გაურკვეველ ვითარებაში გადასახლდებოდა.

ლიტერატურა ხელოვნების ის ერთადერთი დარგია, რომელიც კონკრეტული ენის საზღვრებშია მოქცეული და თუ სხვა ენებზე არ აამეტყველე, საერთაშორისო აღიარებას ვერ მოიპოვებს. ამ პროცესს საფუძვლად უდევს, უკეთეს შემთხვევაში, მთარგმნელის ორენოვანობა, რაც ნიშნავს იმას, რომ მთარგმნელი სიღრმისეულად ფლობს არა მხოლოდ თარგმანის ენას, არამედ თავად დედნის ენას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ შემთხვევაში, თუ სათარგმნი ტექსტი ლიტერატურული შედევრია. აი, სწორედ შედევრის შემთხვევაში დიდი როლი ეკისრება დედნისეული ტექსტის ინტერპრეტაციას მთარგმნელის მიერ.

ტექსტის მართებული ინტერპრეტაცია, თარგმანის თანამედროვე ლინგვისტიკის ფონზე, მეცნიერული ანალიზის გარეშე არ ხერხდება. სწორედ ასეთი მეცნიერ-ინტერპრეტატორი ბრძანდებოდა ინგლისელი მარჯორი ვორდროპი, რომელმაც გაუსწრო დროს და მის მიერვე შემუშავებული მსგავსი პრინციპით შეასრულა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანი მე-19 საუკუნის დამლევს.

ნაკლებად განსწავლული ფილოლოგისგან შეიძლება მოვისმინოთ, რომ გალაკტიონის, მაგალითად, ინგლისურ ენაზე მთარგმნელი, ნახევრად ინგლისელი მაინც უნდა იყოს, ან უფრო მეტიც, გალაკტიონის მთარგმნელი გალაკტიონის ტოლი გენიოსი უნდა იყოს ინგლისურ ლიტერატურაშიო. მარტო დიდ ბრიტანეთში 70 მილიონი ცხოვრობს და საუბრობს ინგლისურ ენაზე, მათი დიდი ნაწილისთვის ინგლისური მშობლიური ენაა. აქედან გარკვეული ნაწილი ღრმად განსწავლული და განათლებულია, მაგრამ მათ ყველას არ შეუძლია ინგლისურ ენაზე ლექსის თარგმნა. ამიტომაც უთქვამს დიდ კრიტიკოსს, ცნობილი პოეტი გაცილებით მეტია, ვიდრე ნიჭიერი მთარგმნელიო. ახლა მეორე მოთხოვნას ვუპასუხოთ. ყველა დიდი პოეტი გარკვეულწილად ვარჯიშობს თარგმანზე. ასე იყო ბაირონი, ასე იყო ილიაც და აკაკიც, ასე ვარჯიშობდა გალაკტიონი. რომელი მათგანი გახდა ცნობილი მთარგმნელი? არცერთი, რადგან მათ საკუთარი მხატვრული სამყარო ჰქონდათ შესაქმნელი და თარგმანისადმი თავდადებისთვის, უბრალოდ, არ ეცალათ. ასეთი თავდადება შეძლო ივანე მაჩაბელმა, ასეთი თავდადება შეძლო მარჯორი ვორდროპმა, მაგრამ ისინი არ ყოფილან გენიოსი პოეტები. ბალმონტმა ოცი წელი მოანდომა, ჯერ ქართული ენისა და კულტურის შესწავლას, ხოლო შემდეგ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე თარგმნას. მას ეს უღირდა, რადგან ბალმონტი არც პუშკინი იყო და არც ბლოკი.

პირადად მე ასეთი მოთხოვნა მომისმენია მწერლისგან, რომელმაც იცის, რომ თავად არ არის გენიოსი, მაგრამ ეამაყება, რომ მისი ნაწარმოებები ითარგმნება უცხოურ ენებზე. ბატონებო, რა გამოდის აქედან? რას მოითხოვს ჩვენგან არაგენიოსი მწერალი? ჩემი ნაწარმოებები თარგმნეთ, მაგრამ გალაკტიონს ხელი არ ახლოთო?

რაც შეეხება პოეზიის უთარგმნელობას, ამაზე თარგმანის ცნობილი თეორიტიკოსი, **პაოლო რონაი** გიპასუხებთ: **„როდესაც დიდი პოეტი ქმნის ლექსს, ის აქამდე გამოუთქმელს ამბობს, როდესაც დიდი მხატვარი ქმნის ტილოს, ის აქამდე დაუხატავს ხატავს, ხოლო ნიჭიერმა მთარგმნელმა – სწორედ უთარგმნელი უნდა თარგმნოს.“**

აკადემიკოს ინესა მერაბიშვილის აკადემიური გამოხმაურება არააკადემიური საგაზეთო პუბლიკაციის გამო, ანუ

„ეს მინდა ვუთხრა მიეთ-მოეთებს“

ნებისმიერ მეცნიერულ აღმოჩენას აქვს თავისი აშკარა გამოხატული მტკიცებულება. ბაირონის პროფესიულმა ცოდნამ სხვა სიღრმეებში შემიყვანა. თვალშისაცემი აღმოჩნდა გალაკტიონის ლექსი „მერის თვალებით“, რომელიც ავტოგრაფის თანახმად დათარიღებულია 1914 წლით, ე.ი. ერთი წლით ადრე, ვიდრე გამოქვეყნდებოდა ლექსი „მერი“. თუ არ ხარ ბაირონის პოეზიის მცოდნე და არ იცი მისი ადრეული ლექსებიც, თუ ისიც არ იცი, ბაირონის რომელ ლექსს, რომელი რუსული თარგმანით ეცნობოდა გალაკტიონი, რადგან ინგლისურს არ ფლობდა, ვერაფრით მიხვდები, რომ გალაკტიონის ლექსი „მერის თვალებით“ – ფაქტობრივად არის თავისუფალი თარგმანი იმ ლექსისა, რომელიც 17 წლის ბაირონმა დაწერა სულ რამდენიმე დღეში მისი სათაყვანებელი მერი ჩავორსის გათხოვებიდან. მოკლე დროის ეს მომენტი აისახა გალაკტიონის ლექსის პირველივე სტრიქონებში: **„ეს რამდენიმე დღეა და რამდენიმე ღამე, დახურულია გული, როგორც საკანი რამე...“**

არემარემ, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ბაირონი და მერი ჩავორსი, ხიბლი დაკარგა და ბაირონი იტყვის: **„Now no more my Mary smiling /Makes you seem a heaven to me.“** ეს გახლავთ ლექსის დასკვნითი სტრიქონები, რომელსაც ა.ბლოკი ასე გადმოიტანს რუსულ თარგმანში: **„Вам небом для меня в улыбке Мэри милой/уже не заблистать.“** ბაირონისა და ბლოკის ამ ნათქვამს გალაკტიონი შემდეგნაირად აამეტყველებს, რაც, აშკარა თანხვედრაა: **„ჩამოიბუროს ზეცა, მისიც აღარა მჯერა, /მერის თვალებით იგი ვერ გაბრწყინდება, ვერა.“** როგორც ვხედავთ, ბლოკის მიერ სწორად თარგმნილი „მერის ღიმილი“ – **„В улыбке Мэри милой“** – გალაკტიონმა „მერის თვალებით“ შეცვალა, რათა უფრო გაეძლიერებინა ლექსის აღქმის ემოცია: ღიმილი ხომ ჯერ თვალებში აისახება და მერე ბაგეზე.

აი, ასე დაიწყო და შემდგომ განვითარდა ბაირონის კვალის ამოცნობა გალაკტიონის პოეზიაში. გენიოსის ხელში ამ ყოველივემ შემდგომი განვითარება პოვა და მერი – ღვთისმშობლის სადარებელ სახედ მოგვევლინა. ამიტომაც იყო, რომ გალაკტიონმა ლექსი „მერი“ პირველი პუბლიკაციისას ლათინური ასოებით გამოსახა – Meri. ეს მიგვანიშნებდა, ერთი მხრივ, ამ ლიტერატურული სახის ბაირონისეულ წარმოშობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, ფრიად საგულისხმო შინაარსზე: ლათინურ სამყაროში Meri – მერი – მარიამ ღვთისმშობლის სახელია. ამიტომაც იტყვის გალაკტიონი: **„როგორც ქალწულის სახელი მერი/არის ცისფერი და მწუხარება.“**

საუკუნის მანძილზე ზემოაღნიშნული ასპექტებისათვის არავის მიუქცევია ყურადღება. მეცნიერების გზა და ხასიათი ასეთია, რადგან ყველა მკვლევარი ერთდროულად ერთსა და იმავეს ვერ მიაკვლევს და ვერ ამოიცნობს. **როგორ ფიქრობთ, ჰქონდა ა.გომართელს ამ კვლევის ჩატარების პროფესიული რესურსი? ბუნებრივია, არა!**

ეს მიგნებები იმდენად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ქართული საზოგადოებისთვის, რომ 2003 წლის 17 ნოემბერს, გალაკტიონის დაბადების დღეს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხდომათა დარბაზში, თსუ რექტორატისა და გალაკტიონის კაბინეტის მხარდაჭერით, ქართული ლიტერატურული ინსტიტუტისა და ლიტერატურის მუზეუმის მონაწილეობით, გაიმართა წარდგინება ჩემი მონოგრაფიისა „გალაკტიონის ენიგმები“, სადაც მერის საკითხი ცალკე თავადაა შეტანილი.

2012 წელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში, აკადემიის პრეზიდენტის, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძის უშუალო ინიციატივით, სააქტო დარბაზში, მოეწყო ღონისძიება თემაზე – ბაირონიდან გალაკტიონამდე. იმავე ღონისძიებაზე წარვადგინე მონოგრაფია – „გალაკტიონის Meri – პროტოტიპის ძიება“.

2015 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, ჩემი ინიციატივითა და უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლ.პაპავას მხარდაჭერით, უჩვეულო, მაგრამ ფრიად ორიგინალური ღონისძიება ჩატარდა – 100 წლისთავი გალაკტიონის „მერის“ პუბლიკაციიდან.

„მაცნეს“ ის ნომერი, სადაც ა.გომართელმა გამოაქვეყნა სტატია, გამოვიდა მიმდინარე წლის **ივნისში** და ნომრის რედაქტორობა განყოფილებამ პირველად მიანდო აკადემიის ახლად არჩეულ წევრ-კორესპონდენტ სოსო სიგუას. ჟურნალ „მაცნეს“ ჰყავს სარედაქციო კოლეგია. მიუხედავად იმისა, რომ ვარ ამ სარედაქციო საბჭოს წევრი და ვარ გალაკტიონოლოგი, ს.სიგუას ამ პუბლიკაციის შესახებ ჩემთვის არაფერი უცნობებია.

სიმართლე გითხრათ, ამ ფაქტზე გამოხმაურების დაწერა აზრადაც არ მომსვლია, რადგან აუცილებლად ვუსაყვედურებდი მომხდარს პირადად ს.სიგუას, მით უმეტეს, რომ „მაცნეს“ იმავე ნომერში გამოვაქვეყნე წერილი რუსთველის თემაზე, სადაც ერთ-ერთი ლექსის ჩემი თარგმანი დამახინჯებულია.

ამ ფონზე მეცნიერებათა აკადემიაში მოხდა ორი უცნაური რამ: 2026 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას დაარსებიდან 85 წელი უსრულდება. აკადემია ქართულ ენციკლოპედიასთან ერთად ამზადებს საიუბილეო ცნობარს, სადაც შედის მონაცემები ყოველ აკადმიკოსზე, დაარსებიდან მოყოლებული დღემდე. ეს მონაცემები ეყრდნობა ქართული ენციკლოპედიის სტატიებს. რაც შეეხება საენციკლოპედიო სტატიას ჩემზე, იქ ცალ-ცალკე აბზაცებად ჩამოთვლილია მიღწევები ენათმეცნიერებასა და თარგმანის ლინგვისტიკაში, გალაკტიონოლოგიაში, ბაირონოლოგიასა და რუსთველოლოგიაში. აღმოჩნდა, რომ დასაბეჭდად მომზადებული ცნობარის მასალებიდან **ჩემი გვარის გასწვრივ გაქრა მიღწევები გალაკტიონოლოგიაში.**

აკადემია აგრეთვე ამზადებს საიუბილეო ბუკლეტს ინგლისურ და ქართულ ენებზე, სადაც ჩემი გვარი მითითებული აღმოჩნდა მხოლოდ და მხოლოდ აკადემიის მიღწევებში თარგმანმცოდნეობის ხაზით, ხოლო **ბაირონოლოგიასა და გალაკტიონოლოგიაზე აკადემიის სივრცეში საერთოდ ხსენება არ იყო.** ეს ორივე უზუსტობა მალევე გამოსწორდა, რადგან დროულად ვაცნობე ხელმძღვანელობას.

ამ ყოველივეს ფონზე, კოლეგებმა დამატებით მაცნობეს, რომ 2026 წლის ზაფხულში, ა.გომართელს უსრულდება 80 წელი და სურს, ამ თარიღს აკადემიკოსის წოდებით შეხვდეს. ამ მიზნის მიღწევაში აკადემიაში მას ეხმარება მისი მეგობარი ს.სიგუაო.

აკადემიის კონკურსში მონაწილეობის მიღება, სათანადო საბუთების წარმოდგენის საფუძველზე, არავის ეკრძალება, მაგრამ არა თვალთმაქცობითა და უხერხული მანიპულაციებით: მოკლედ, ასე თუ ისე, აკადემიაში მიდიოდა ველის ხელოვნური მო-

სუფთავება გალაკტიონის ირგვლივ, რათა იქ გალაკტიონოლოგიის ახალი „ამომავალი ვარსკვლავი“ – ა.გომართელი შემოეყვანა ს.სიგუას, ისიც ჩემი მონაპოვრით. დავუშვათ, ს.სიგუამ არაფერი იცოდა ჩემი მიგნებების შესახებ , რადგან არ არის გალაკტიონოლოგი. მაგრამ გაიარა ჩემთან კონსულტაცია? უფრო მეტიც, მას დღემდე ამის გამო უხერხულობა არ გამოუთქვამს.

27 ოქტომბრის ჩემს საგაზეთო წერილში მოყვანილი ფაქტები **იმდენად აშკარა და გამჭვირვალეა, რომ ა.გომართელი თავს ვერანაირად ვერ გაიმართლებს**, იქნება ეს ჩემი კვლევის მრავალმხრივი მიტაცება, თუ გალაკტიონის სტრიქონზე ძალადობისას გრამატიკულ შეცდომაზე მინიშნება, რასაც ორთოგრაფიული ლექსიკონიც ადასტურებს. ამიტომაც ა.გომართელმა მამხილებელ წერილს ვერც უპასუხა და არც სადმე მოიხსენია, პირიქით, საგულდაგულოდ გადამალა, მაგრამ გააკეთა ის, რაც მის შესაძლებლობებში იყო.

ამა წლის 24 ნოემბერს, ისევ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, ა.გომართელს გამოუქვეყნეს ჩემდამი მიმართული სალანძღავი წერილი. ჩემი ლანძღვის გარდა, მოკლედ ვიტყვი, თუ რას ემსახურება ეს პუბლიკაცია:

1. ა.გომართელი არსად ახსენებს წერილს, რომელიც გამოვაქვეყნე ამ გაზეთში სათაურით – „გალაკტიონის მზერას მაინც რატომ არ შეუშინდა პლაგიატორი?“

2. პლაგიატორობის კვალი რომ დაფაროს, აცხადებს, რომ „მაცნეში“ მისი სტატიის გამოქვეყნება გამოწვეული იყო ჩემი მოსაზრებების კრიტიკით გალაკტიონზე, რაც ამოიკითხა წინა წელს ჩემს პუბლიკაციაში „მაცნეში“. ეს ყოველივე სრული სიცრუეა, რადგან ამ სამეცნიერო ჟურნალში, დღიდან მისი აღდგენისა 2022 წელს, ყოველ წელს ვაქვეყნებ შრომებს მხოლოდ რუსთველსა და მის „ვეფხისტყაოსანზე“. გალაკტიონზე „მაცნეში“ ნაშრომი ჯერჯერობით არ გამომიქვეყნებია.

„ქურდს რომ უსმინო, დღეში რამდენჯერ გატყდებაო“,– ა.გომართელი იქვე ასახელებს რუსთველისადმი მიძღვნილი ჩემი სტატიის სათაურს – „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“. ამ ვრცელ ოცგვერდიან სტატიაში მაქვს მცირე შესავალი ლიტერატურულ ინტერტექსტუალობაზე, სადაც ვსაუბრობ ბიბლიის, ჰომეროსის, ჯოისის, სტაინბეკის, პუშკინისა და სხვათა ტექსტებზე. ორიოდე აბზაცი ეძღვნება ბაირონის გავლენას ბარათაშვილსა და გალაკტიონზე, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ ბარათაშვილმა და გალაკტიონმა კიდევ უფრო განავითარეს და მაღლა აიყვანეს ბაირონის ლიტერატურული სახეები. თუ ა.გომართელი ამ მიგნებებს იწუნებს, რატომ ვერ ამოიკითხა, რომ ეს ყოველივე დიდი ხანია აღიარებულია საერთაშორისო ბაირონოლოგიის მიერ და შესულია ფუნდამენტურ თეორიულ ორტომეულში, რაზეც სტატიაშივე მივანიშნე: Innes Merabishvili ., Liberty and Freedom and the Georgian Byron, in: The Reception of Byron in Europe, in two volumes, vol. II, London-New York, 2004.

თუ ა.გომართელს რამეზე პრეტენზია აქვს მეცნიერებაში, სად იყო აქამდე, როცა მე ოცდათხუთმეტი წელია ვიკვლევ გალაკტიონს. **ასობით პუბლიკაციას რომ თავი დავანებოთ, ვარ ოცი წიგნისა და მონოგრაფიის ავტორი. აქედან რვა – გალაკტიონისადმია მიძღვნილი.** ეს ფაქტი უკვე აშკარად მეტყველებს იმაზე, რომ მან მეცნიერებათა აკადემიის წინაშე ახლა მოინდომა თავის გამოჩენა, ისიც ჩემი მონაპოვრით.

3. ყველაზე მიუღებელი არის ის, რომ 24 ნოემბრის საგაზეთო წერილში, ა.გომართელი სრულად თმობს თავის იმ შეხედულებებს, რაც „მაცნეში“ გამოთქვა, და რაც ჩემგან ჰქონდა აღებული. ფაქტია, რომ ჩემმა საგაზეთო წერილმა, სადაც ვამხილე ა.გომართელი, იმუშავა!

ამაზე უარესი კიდევ ისაა, რომ ა.გომართელი, რომელიც ჯერ თავს იწონებდა ჩემგან აღებული მიგნებებით, ახლა ამ მიგნებების გამო აქეთ მაკრიტიკებს. როგორც ჩანს, ა.გომართელი ბოლომდე იმეტებს გალაკტიონის იმ მაღალ ლიტერატურულ ღირებულებას, რომელმაც ქართველი პოეტი ბაირონზე მაღლა დააყენა, რაც აღიარა საერთაშორისო ბაირონოლოგიამ. მთავარია, თავად ამოვიდეს მშრალი. მაგრამ, ა.გომართელს საერთოდ ვინმე ეკითხება ჭკუასა და აზრს ამ კონკრეტულ სფეროში? რომელი მეცნიერული მიღწევებით დაიმსახურა მან ამ დარგის ექსპერტობა?

რასაც ახლა აქ ვწერ, თუ ამას მეცნიერი წაიკითხავს, აუცილებლად დაასკვნის, რომ ან მეცნიერებაშია საქმე ცუდად საქართველოში, სადაც ა.გომართელი აპირებს დამკვიდრებას, ან ა.გომართელს აქვს საქმე ცუდად, რადგან შეუსაბამო ამბიციებითაა შეპყრობილი.

ახლა, ორიოდე სიტყვა ა.გომართელის საგაზეთო სტატიის სათაურზე – **„აკადემიკოს ინესა მერაბიშვილს ვნებანი“.**

ერთი ამას დამიხედეთ! კაცი პლაგიატორობისთვის საჯაროდ გავკიცხე და ისევ პლაგიარიზმს მიმართა სათაურში! არ გინდა, ეს მოიფიქრო და კვლავ პლაგიატორად წარმოაჩინო თავი? და, აი, გეტყვით როგორ:

მე ხშირად ვსაუბრობ და ვწერ, რომ მეცნიერება თავისი შინაარსით საერთაშორისო ფენომენია, რადგან მეცნიერს თუ ხელისგულზე არ აქვს დარგის საერთაშორისო მდგომარეობა და მიღწევები, ვერც კვლევას ჩაატარებს და ვერც ახალ სიტყვას იტყვის მეცნიერებაში. თუ ნასწავლმა კაცმა ასეთ სიმაღლეს ვერ მიაღწია, ის ადგილობრივ სწავლულად რჩება და პატივისცემას იმსახურებს. აქედან გამომდინარე, მეცნიერი დიდი გამოწვევების წინაშე დგას და მას ისეთივე ტკივილიანი და ვნებით აღსავსე ქარტეხილები ელოდება, როგორც თავად პოეტს და ნებისმიერ დიდ ხელოვანს. ამას მადლიანი ქართული სიტყვაც დაგიდასტურებთ – ხ ე ლ ო **ვ ნ ე ბ ა**. რაც შეეხება მეცნიერების შეფარდებას პოეზიასთან, ამაზე გალაკტიონმა იზრუნა, და თან ისე, როგორც ვერავინ დედამიწის ზურგზე:

მეცნიერება, როდესაც მას თან ახლავს ვნება – თანაბრად არის პოეზიის ზეშთაგონება!

ჰოდა, მოჰკრა ყური ამ ჩემს მრავალგზის ნათქვამს და ჩემს შეფასებაშივე ასახა. ფაქტია, რომ ჩემგან წაიღო, თორემ გალაკტიონის ეს გამონათქვამი, დარწმუნებული ვარ, არც გაუგონია.

თუ აკადემიაში ს. სიგუა არ მალავს ა.გომართელის მხარდაჭერას, არც ა.გომართელი მალავს ს.სიგუას თანამონაწილეობას. აი, მისი სიტყვებიც ა.გომართელის საგაზეთო სტატიიდან: „სოსო სიგუას დავურეკე... და ვუთხარი, წაგვიგია ომი ამ ქალთან და ეს არის-მეთქი. ამაზე იმდენი იცინა, სულ დაავიწყდა მერაბიშვილისგან მომდინარე ბრიყვული წყენა. ისე, რატომ ღმერთი არ გაიცინებს, სოსო სიგუა რომ წევრ-კორესპონდენტია, ეს ქალი კი აკადემიკოსი. ამიტომაც ბედავს, გამორჩეულ მეცნიერს ცოდნა და რედაქტორობა დაუწუნოს.“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 24.11.25, გვ.7).

ხომ ხედავთ, მეცნიერებათა აკადემიას ჯერ არჩევანი დაუწუნა, ხოლო შემდეგ –სამომავლო ვალდებულებებიც დაუსახა!

1941 წლიდან მოყოლებული, როდესაც დაარსდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, არ შეცვლილა აკადემიკოსად არჩევის მთავარი მოთხოვნა, რაც შემდეგში მდგომარეობს: ამ პოზიციის პრეტენდენტს აუცილებლად ესაჭიროება, რომ ის იყოს **საერთაშორისო აღიარების მეცნიერი**. ეს უკანასკნელი არავითარ შემთხვევაში არ დაიყვანება საზღვარგარეთ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომებზე, რაც დოქტორანტსაც მოეთხოვება.

რაც შეეხება ს.სიგუას, მას შვიდიოდე წლის წინ ჰქონდა აკადემიკოსობაზე პრეტენზია და კონკურსში საბუთებიც შემოიტანა. მაგრამ მისი მონაცემები ვერაფრით ვერ დაკმაყოფილებდა აკადემიკოსად არჩევის მოთხოვნას. გასულ წელს ს.სიგუამ მიიღო მონაწილეობა აკადემიის კონკურსში, მაგრამ უკვე წევრ-კორესპონდენტის პოზიციაზე, რომელიც არ ითხოვს საერთაშორისო აღიარებას. მე მისთვის ხმა არ მიმიცია, რადგან წარმოდგენელი წიგნები, გარდა კონსტანტინე გამსახურდიასადმი მიძღვნილი ორტომეულისა, ყველა იყო კომპილაციური ხასიათის. საკონსკურსო პრეზენტაციაზე ეს ფაქტი სიგუამ თავადაც აღიარა სხვა კონკურსანტების თანდასწრებით. ს.სიგუამ კონკურსში ორი ხმით გაუსწრო ფრიად ნაყოფიერ მეცნიერს, რომელსაც მე მივეცი დადებითი ხმა. ასე გახდა სიგუა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ა.გომართელს გაზეთში რაც არ დაუბეჭდეს, თუ ვერ დაუბეჭდეს, მან ფეისბუქის პოსტებში განავრცო. ბუნებრივია, სოციალურ ქსელში არ ვარ ა.გომართელის მეგობარი და ვერ ვიგებ, რას წერს, მაგრამ, როგორც მითხრეს, იქაც ფრიად სასაცილო მდგომარეობაშია. **თურმე იქაც წერს, რომ მე არ ვიცი ინგლისური ენა და ჩემს ცოდნას ხშირად ადარებს ნოდარ დუმბაძის გმირების უმეცრებას რუსულ ენაში, საკუთრივ,** „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მაგალითზე და ცდილობს ამ გზით მომაყენოს შეურაცხყოფა. **რეგვენისგან შეურაცხყოფას ვერც გალაკტიონი გადაურჩა: „უკადრებია რეგვენს სიტყვა რეგვნული მისთვის“** (მურმან ლებანიძე).

როგორც მითხრეს, ფეისბუქზე ა.გომართელი დიდ ინგლისელსაც გადაწვდა, როცა ვერ გაიგო, თუ რა თქვა ლორდ ბაირონმა პრომეთეზე: **„ზევსთან მებრძოლმა, მან ღირსება რომ არ დაკარგა,/ ის თვით მოკვდავიც მოკვდებოდა მხოლოდ ამაყად!“ – „He in his fall preserved his pride,/ And, if a mortal, had as proudly died!“**

ამის გამგები იყო ა.გომართელი? ამიტომაც დაიწუნა. გალაკტიონთანაც ხომ იგივე ხდებოდა! როცა მის იდუმალ სტრიქონებს ვერ იგებდნენ მდაბიონი, უწუნებდნენ და დასცინოდნენ...

როდესაც ფეისბუქზე მას მიუთითეს კორექტულობისკენ და ნიმუშად გაუგზავნეს ჩემი ინგლისური თარგმანი გალაკტიონის ლექსისა „ქარი ჰქრის“, საბრალო გომართელს ტაიმ-აუტი აუღია პასუხისთვის. მოგვიანებით თავად დაუწერია: ინესა მერაბიშვილის ინგლისური თარგმანი გადავაგზავნე ამერიკაში იქ მცხოვრებ ჩემს კოლეგა ქალბატონთანო და ვთხოვე, ეს ინგლისური თარგმანი ქართულად ეთარგმნაო. კოლეგის გვარს არ ასახელებს, მაგრამ წერს, რომ იმ ქალმა ჩემი ინგლისური თარგმანი ქართულად სიტყვასიტყვით მოუთარგმნა და გომართელს აახლა. ა. გომართელმა „მიმოიხილა“ გალაკტიონის ლექსის ჩემი ინგლისური თარგმანის ოკეანის მიღმა შესრულებული ქართული თარგმანი და დაადგინა, რომ ერთ სიტყვაში გარღვევაა. ოი, ეგ საბრალო, ეგა! გარღვევა კი არა, მხატვრული მიღწევაა! აი, მაგალითად, ისეთი, გალაკტიონმა, რომ შებედა ბაირონს, როცა მერის ღიმილი მერის თვალებით შეცვალა, რაზეც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

ვერ ვიხსენებ, რომ მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე, მსგავსი უმეცრება სადმე გამეგონოს ან წამეკითხოს. ეს რა უბედურება ხდება თარგმანის ხელოვნების თავს საქართველოდან შტატებში და შტატებიდან საქართველოში. ვინ მსჯელობს გალაკტიონის თარგმანზე? მოპასანს უთქვამს, შეუძლებელია მუსიკაზე ელაპარკო იმას, ვისაც სმენა არ გააჩნიაო. მოპასანს თავი დავანებოთ და პირდაპირ ქართულად ვთქვათ: ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილია!!!



ა. გომართელმა ალბათ ისიც არ იცის, რომ მე თანაბრად სამენოვანი ვარ, თვით პოეტური ტექსტის ფარგლებში. ამიტომ აქვე ვაქვეყნებ წლების წინ შესრულებულ ჩემს რუსულ თარგმანს ლექსისა „ქარი ჰქრის“, რასაც სიმბოლურად დავუმატებ კიდევ ერთ ლექს – „რაც უფრო შორს ხარ“, რადგან ა.გომართელი შორეულ მეგობრებს უფრო ენდობა. ამ ლექსების ინგლისური თარგმანი შესულია ჩემს კრებულებში და იძებნება ინტერნეტში. ა.გომართელს შეუძლია, ჩემი ეს რუსული თარგმანები შესაფასებლად რუსეთში მცხოვრებ მის ქართველ მეგობარს გაუგზავნოს. გარდა ამისა, ცოტა რუსული თავადაც ხომ იცის? როგორც უნივერსიტეტში მითხრეს, რუსული ენის ცოდნით ის ვერ დაიტრაბახებს. იგივე მდგომარეობა ყოფილა ს.სიგუასთან, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად რუსულად ტექსტი დაწეროს, ან ქართული ლექსი რუსულად თარგმნოს. ამიტომ რუსეთიდან ქართველების დახმარება გარდაუვალია!

Ветер веет

Ветер веет, ветер веет, ветер веет,
По ветрам понеслись листья ввысь...
Гнет в дугу стан стволов, что редеет,
Где же ты, где же ты, где же ты?..
Так дождит, как снежит, как снежит,
Мне тебя никогда не найти!
А твой лик, он со мной, все со мной,
Каждый миг, как всегда, он со мной!..
Дальний свод сквозь туман мысли сеет...
Ветер веет, ветер веет, ветер веет!..

Чем дальше ты

Чем дальше ты, тем больше жжёт любовь!
В тебе одной люблю мечту свою,
Нетронутую, словно света луч,
Непостижимую, как мир в раю.

Быть может в жизни ты совсем не та,
Меня что в грёзах странных завлекла,
Больному сердцу это не беда!
Будь ангелом небесным навсегда.

Пусть гибнет сердце в пламени в аду,
Пусть слёзы наполняют глубь пучин,
Чтоб верил я своим словам в бреду,
И в праздник нескончаемый любви.

იმ დროს, როდესაც ა.გომართელი სოციალურ ქსელში ჩემი ლანძღვით იყო დაკავებული, ს.სიგუა საკუთარი ფეისბუქის გვერდზე გალაკტიონს ამცირებდა. წარმოადგინა რა, ვითომდაც გალაკტიონის მხატვრული პორტრეტი მის დაბადების დღეს, აი, ამის თქმა გაუბედა: განათლებულ ოჯახში არ დაბადებულხარ, უმაღლესი განათლება არ მიგიღია, კულტურის დიდ ცენტრებში არ გიცხოვრია, მოსკოვში სულ ორჯერ ჩახვედიო, ჰალუცინაციები გქონდა და პოეტები ამას ხილვას ეძახდნენო, ქუჩაში რომ დადიოდი, ლომბროზოს პერსონაჟს ჰგავდიო, და რაც მთავრია, რუსი პოეტები მერეუკოვსკი, ივანოვი, ანენსკი, ბრიუსოვი, ბალმონტი, ბელი, ბლოკი – დიდი ერუდიტები და პოლიგლოტები იყვნენ და შენ მათ ვერ შეედრებიო... ბოლოდან დავიწყოთ და ვთქვათ, რაღა მაინცდამაინც რუს პოეტებს ადარებს გალაკტიონს? გალაკტიონის პოეზიაში ხომ მთელი მსოფლიო ლიტერატურა და კულტურაა გარდატეხილი! გალაკტიონი, არა მარტო ნიჭითა და ინტელექტით, არამედ, პირველ ყოვლისა მის მიერვე შექმნილი პოეტური სამყაროთი აღემატებოდა მე-20 საუკუნის ყველა პოეტსა და მოაზროვნეს. ეს მე არა მარტო ვუთხარი დასავლეთს, არამედ დავუსაბუთე. და მათ ეს მიიღეს. ამიტომაც გამოვაქვეყნე წლების წინ ამ გაზეთში სტატია „გალაკტიონის ფენომენი“.

ამიტომაც მურმან ლებანიძემ ასე დაწერა:

ბატონო გალაკტიონ,
თქვენ პირველი ხართ,
დაგვისახელეთ მეორე პოეტი...
უცებ ჭინკებით გაევსო თვალი
თვისი სიმაღლით ის იყო მთვრალი,
საქართველოში??? – ჩაიქირქილა
და ლომურ წვერზე მოისვა ბრჭყალი...

ნეტავ ვინ აუხსნა ს.სიგუას, რომ გალაკტიონს მხოლოდ ჰალუცინაციები ჰქონდა, რასაც პოეტები ხილვას ეძახდნენ? ცხადია, ს.სიგუა საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ფიქრობს ასე. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, და თან იუმორით, გამოდის, რომ ჰალუცინაციები ს.სიგუასთვის ნაცნობი მოვლენა ყოფილა. ამას იმიტომ ვწერ, რომ მეორედ გალაკტიონზე ასე წინდაუხედავად აღარაფერი დაწეროს!

რაც შეეხება გალაკტიონის შედარებას ლომბროზოს პერსონაჟებთან. კრიმინალისტიკის მამად წოდებული იტალიელი მეცნიერი, ჩეზარე ლომბროზო, ძირითადად **დეგენერატების კვლევით** არის ცნობილი. მათი სახის ნიმუშები მეცნიერმა სამუზეუმო ექსპონატებად გამოფინა. ასე შეიქმნა ლომბროზოს მუზეუმი და მისი პერსონაჟები. ლომბროზო მიიჩნევდა, რომ არსებობს ადამიანის ტიპი, რომელიც ბუნებით მიდრეკილია დამნაშავეობისადმი. დამნაშავის ტიპის ფსიქოლოგიურ თავისებურებებს შეადგენს გამწვავებული პატივმოყვარეობა, ცინიზმი, ბრალეულობის გრძნობის, მონანიებისა და სინდისის ქეჯნის უქონლობა, აგრესიულობა, სისასტიკისადმი და ძალადობისადმი მიდრეკილება, შურისმაძიებლობა, ეგზალტირებულობა და სხვა. ლომბროზოს მტკიცებით, ასეთი დეგენერატები საზოგადოებამ აუცილებლად ციხეში უნდა გამოამწყვდიოს და ისიც ადრეული ასაკიდან.

გალაკტიონის ასე დამცირებას საქართველო ჯერ არ მოსწრებია!

ახლა, რაც შეეხება ა.გომართელის საგაზეთო წერილის მთავარ პათოსსა და დასკვნით მოთხოვნას – ამეკრძალოს აკადემიურ სივრცეში გამოჩენა და მუშაობა!

ნუ გაგეცინებათ და ნუ გაოცდებით. ასე ითხოვს!

ამ მოთხოვნის თანაავტორია ს.სიგუაც, რადგან მას ჯერ არ გამოუთქვამს უხერხულობა ა.გომართელის საგაზეთო წერილში მოხსენიების გამო. ახლა ისმის კითხვა: მაგრამ ვინ უნდა შეუსრულოს მათ ეს ოცნება? მეცნიერებათა აკადემია არჩეულ წევრს, მე კი არა, ს.სიგუასაც ვეღარ დაითხოვს. როგორც ჩანს, ჩემი პროფესიონალიზმი და აკადემიური კეთილსინდისიერება აღიზიანებთ მათ და ხელს უშლის აკადემიკოსობისკენ მიმავალ გზაზე. ჰოდა, მათაც იფიქრეს, მთავარია, ეს ერთი ქალი მოვიშოროთ თავიდან და მერე რა შეგვიშლის ხელსო. არა მგონია, აკადემიის მთავარი პრინციპების შენარჩუნების საქმეში დღეს მარტო ვიყო.

იხ. 9 გვ.

ესპანეთის სამოქალაქო ომის უმწარესი გაკვეთილები!

ფრანსისკო ფრანკო

ესპანეთის 1936-39 წლების სამოქალაქო ომს, რომელმაც მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, მე-20 საუკუნის ევროპის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ამ სამოქალაქო დაპირისპირებისკენ ქვეყანა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, ნაბიჯ-ნაბიჯ, მიდიოდა. ოდესღაც დიდი იმპერია დაშლის პირას იყო.

ესპანეთის მეფე ალფონსო მეცამეტეს და მის მომხრეებს არ ესმოდათ, რომ ხალხი რეფორმებს ითხოვდა. მაშინ, ესპანეთში, ისევე, როგორც მთელს ევროპაში, ეკონომიკური კრიზისის პარალელურად, ფეხი მოიკიდა, როგორც დემოკრატიულმა პოლიტიკურმა ძალებმა, ისე მემარცხენე და მემარჯვენე რადიკალებმა. ქვეყნის სტაბილურობა შეირყა. 1923 წელს გენერალმა მიგელ პრიმო დე ჭრივერამ სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო. მან პარლამენტი და მთავრობა დაითხოვა და, მეფის თანხმობით, ესპანეთის მართვას ჩაუდგა სათავეში. იტალიელი ფაშისტების გამოცდილების მიხედვით, გენერალმა ესპანეთის მოდერნიზაციის განხორციელება სცადა, მაგრამ მისი რეფორმები წარუმატებელი აღმოჩნდა. 1930 წელს, მან ფარ-ხმალი დაყარა და საფრანგეთში გაიქცა. ერთი წლის შემდეგ, ესპანეთში მონარქიაც დაეცა. ქვეყანაში, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა, რომელშიც მემარცხენე და ლიბერალურმა ძალებმა გაიმარჯვა. ახალმა პარლამენტმა ახალი კონსტიტუცია მიიღო.

ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მემარცხენე პოლიტიკოსი, მანუელ ასანია გახდა. მემარცხენე ლიბერალები რეფორმების გატარებას შეუდგნენ. ზოგმა რეფორმამ საზოგადოების ერთი ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია.

ესპანეთი ქაოსში ჩაეფლო. მდგომარეობის განსამუხტად, ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები გამოცხადდა, რომელშიც, ხმების მინიმალური რაოდენობით, ისევ მემარცხენე ლიბერალებმა გაიმარჯვეს, მაგრამ არჩევნებმა კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა, რადგან ცხადი გახდა, რომ ქვეყანა ორ ნაწილად გაიყო.

1936 წლის 12 ივლისს, საკუთარი სახლის წინ, რესპუბლიკელი ოფიცერი მოკლეს. მეორე დღეს, მონარქისტი პარლამენტარი, ხოსე კალვო სოტელო გამოასალმეს სიცოცხლეს. მკვლელობებმა რესპუბლიკელებსა და ულტრამემარჯვენეებს შორის ღია დაპირისპირება გამოიწვია. ულტრამემარჯვენეებმა, რომლებსაც ფაშისტებს ეძახდნენ, თავიანთ მომხრე გენერლებთან ერთად, ამბოხების გეგმა შეიმუშავეს, რომელსაც გენერლები, სანხურხო, მოლა და ფრანკო ლიდერობდნენ. 17 ივლისს, ესპანეთის მაროკოში, სადაც გარნიზონის მეთაური ფრანკო იყო, ამბოხება დაიწყო.

„გერნიკა“ — პაბლო პიკასო

18 ივლისს რადიოთი გადაიცა პაროლი „ესპანეთის თავზე უღრუბლო ცაა“, რაც ესპანეთში მყოფი რეაქციონერებისთვის ამბოხების დაწყების ნიშანად იქცა. ამბოხება ესპანეთში, კანარისა და ბალეარის კუნძულებზე მყოფ ყველა გარნიზონს მოედო. ამბოხებულთა მხარეს აღმოჩნდა შეიარაღებული ძალების 80 პროცენტი, მაგრამ ხალხის ძლიერმა წინააღმდეგობამ, რეაქციული წრეების გეგმები, ამბოხების პირველსავე დღეებში ჩაფუშა, მაგრამ დაიწყო ესპანეთის სამოქალაქო ომი. მეამბოხეთა განაკში წამყვანი როლი ესპანეთის ფალანგას ეკავა, რაც ესპანეთის ფაშისტური პარტიის გასამხედროებული ნაწილი იყო. რესპუბლიკელთა შორის ლიდერობა ესპანეთის კომუნისტურმა პარტიამ ჩაიბარა. მეამბოხეებმა გადაწყვიტეს, მათი ძალების ლიდერად ფრანკო გამოეცხადებინათ. **1936 წლის 1 ოქტომბერს, გენერალი ფრანკო სახელმწიფოს მეთაურად, არმიის გენერალისიმუსად და კაუდილიოდ, ანუ ბელადად გამოცხადდა. მან ქალაქ ბურგოსში მთავრობა ჩამოაყალიბა და აჯანყებულთა ერთპიროვნული ლიდერი გახდა.**

რესპუბლიკელთა ლიდერად, ისევ მანუელ ასანია, ახლა უკვე, ქვეყნის პრეზიდენტი, რჩებოდა. ესპანეთის სამოქალაქო ომი მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. ესპანეთის რესპუბლიკის მხარეს მთელი პროგრესული კაცობრიობა დადგა, წინააღმდეგ კი, რეაქციული და იმპერიალისტური ძალები. ფაშისტურმა გერმანიამ, იტალიამ და პორტუგალიამ დაუყოვნებლივ გაუწოდეს ხელი მეამბოხეებს.

1937 წელს ესპანელი ფაშისტების დასახმარებლად, გერმანიის ნაცისტურმა ავიაციამ დაბომბა და მიწასთან გაასწორა ბასკეთის ქალაქი გერნიკა. რესპუბლიკურმა მთავრობამ კი, მხარდაჭერა საბჭოთა კავშირისა და მექსიკისგან მიიღო, რომლებიც მათ სამხედრო ტექნიკითა და ცოცხალი ძალით ეხმარებოდა. საბჭოთა კავშირის მაშინდელი ოფიცრობა ესპანელ კომუნისტებს წვრთნიდა. შეიქმნა ინტერნაციონალური ბრიგადები. ესპანელი კომუნისტების დასახმარებლად, მთელი მსოფლიოდან ჩამოდიოდნენ მემარცხენე ბრიგადები, რომელთა შორის მსოფლიოს ბევრი ცნობილი ადამიანი იბრძოდა. მაგალითად, ამერიკელი მწერალი ერნსტ ჰემინგუეი, ინგლისელი მწერალი ჯორჯ ორუელი და სხვები. საფრანგეთმა, ინგლისმა და ამერიკამ კონფლიქტში ჩაურევლობის პოლიტიკა გამოაცხადეს. ესპანეთში, საბრძოლო მოქმედებები 1939 წლის გაზაფხულამდე გაგრძელდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ,

პირველად, სამოქალაქო ომში, ორივე მხარე დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკასა და ავიაციას იყენებდა. ომის პირველ ეტაპზე, ფაშისტები წარუმატებლად უტევდნენ მემარცხენეებს. მათთვის მთავარი ამოცანა მადრიდის აღება იყო, მაგრამ მემარცხენეთა თავგანწირული ბრძოლის წყალობით, ფაშისტებმა, რომლებიც ესპანეთის ცენტრალურ რაიონებში იყვნენ გამაგრებულნი, დედაქალაქი ვერ აიღეს. მემარცხენეები დანარჩენ ქვეყანას აკონტროლებდნენ. ომის მეორე ეტაპზე, რომელიც 1938 წელს დაიწყო, ფრანკოს ნიჭიერი სარდლობით, ფაშისტებმა წარმატებული შეტევა განახორციელეს. ომის ბოლო ეტაპი 1938 წლის ბოლოდან დაიწყო, როცა ფრანკოს არმია ყველგან წარმატებულად მოქმედებდა. 1939 წლის თებერვალში კატალონია დაეცა. იმავე წლის 27 თებერვალს ინგლისმა და საფრანგეთმა ფრანკოს მთავრობა ცნეს, და რესპუბლიკურ ესპანეთთან ურთიერთობა გაწყვიტეს. ფაშისტების გზაზე მხოლოდ მადრიდი რჩებოდა ხელუხლებელი, მაგრამ, 1939 წლის 28 მარტს, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ, მადრიდიც დაეცა. ამით დამარცხდა რესპუბლიკური ესპანეთი. ქვეყანაში ფრანკოს დიქტატურა დამყარდა, რომელმაც 1975 წლამდე იარსება.

1959 წელს, სამოქალაქო ომის ნაიარევის მოსაშუშებლად, ფრანკოს ინიციატივით, სამოქალაქო ომში დაღუპულთა მემორიალი გაიხსნა სახელწოდებით, დაცემულთა ველი. აქ ორივე მხარეს მებრძოლი, ათასობით ადამიანია დამარხული.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ანკარა-ბაქოს ღერძი და „რუსული ქოლგიდან“ გასვლის მცდელობა

„რუსეთ-უკრაინის ომის სავარაუდო დასრულებასთან დაკავშირებით სამხრეთ კავკასიაში, ცენტრალურ აზიასა და მათ ახლო მდებარე რეგიონებში მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ ცვლილებებს უნდა ველოდოთ“, – ნათქვამია ლიბანის არაბულენოვან გაზეთ **„ან ნაჰარში“ (An Nahar)** გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით **„სამხრეთკავკასიური დერეფნები: უკრაინის ომის დასრულების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში გავლენისათვის ბრძოლა გამწვავდება“** (ავტორი – **იუსეფ ბადრი**). **„დასავლეთის ქვეყნები უკრაინის ომით არიან დაკავებულები, მაგრამ ისინი მაინც ყურადღებით ადევნებენ თვალს რუსეთისა და ჩინეთის ტრადიციული გავლენების ზონაში და დასკვნებს აკეთებენ. სიტუაცია გამწვავების სტადიაშია“,** – წერს გაზეთი.

გთავაზობთ პუბლიკაციას შემოკლებით:

„მოსალოდნელი ცვლილებები განპირობებულია რიგი ქვეყნების ურთიერთობების ტრანსფორმაციით, რომლებიც უკრაინაში მიმდინარე ომის შედეგად ჩამოყალიბდნენ, განსაკუთრებით ეს ეხება თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებს.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთი როგორც ნატოს წევრი ქვეყანა, უკრაინას დახმარებას უწევს, ჩვენ მოსკოვისა და ანკარის მნიშვნელოვანი დაახლოების მოწმენიც ვხდებით. ორი ქვეყნის ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა დონეზე მტკიცდება. რუსეთი, რომელსაც ყურადღება უკრაინასთან ომზე აქვს გადატანილი, თვალს ხუჭავს თურქეთის პოზიციების გაძლიერებაზე კრემლის გავლენის ზონაში, სამხრეთ კავკასიაში. შესაბამისად, შეიქმნა ანკარა-ბაქოს ღერძი, რომელმაც სომხეთი დაამარცხა და რუსეთის გავლენა შეასუსტა, სამაგიეროდ კი გაძლიერდა თურქეთი, როგორც პოლიტიკური ამინდის შემქმნელი და მასშტაბური ნაციონალისტური პროექტის – ერთიანი პანთურქისტული სახელმწიფოს იდეის რეალიზატორი, ევროპიდან ჩინეთამდე საზღვრებით.

თურქულენოვანი სახელმწიფოების ამასწინანდელ სამიტზე წარმოდგენილი იყო „ერთიანი თურქული ანბანის“ პროექტი, რომელიც, კირილიცის ნაცვლად, ლათინურ ალფაბეტზე იქნება დაფუძნებული და მიმართულია თურქულენოვანი ხალხების კულტურული კავშირების განმტკიცებისაკენ.

სამხრეთი კავკასია და ცენტრალური აზია ძველებური აღარ იქნება. დასავლეთი ყურადღებით უყურებს, თუ როგორ ვითარდება სიტუაცია რუსეთისა და ჩინეთის ტრადიციული გავლენის ზონებში. რეგიონის ქვეყნებმა დაიწყეს „მრავალმხრივი პარტნიორობის“ პოლიტიკის გატარება და ნაკლებად იცავენ „ერთიანი რუსული ქოლგის“ წესებს, რომელიც კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის („ოდკბ“) წესდებით არის განპირობებული და სადაც ფორმალურად რუსეთი დომინირებს. ამ მხრივ აღსანიშნავია სომხეთის საგარეო პოლიტიკური ზიგზაგები, რომელიც, ერთი მხრივ ცდილობს დასავლეთისაკენ გადახრას, მაგრამ მეორე მხრივ, კვლავ რუსეთზე მიბმული რჩება ეკონომიკურად.

მოსკოვს სამხრეთ კავკასიაში გავლენის შენარჩუნება სურს, მაგრამ კრემლი იძულებულია ახალი რეალიები გაითვალისწინოს. უკრაინასთან ომის გაჭიანურების გამო რუსეთის სამხრეთ საზღვრებთან ძალთა განლაგება იცვლება. განსაკუთრებით ეს ეხება ირანის

პარტნიორთა თუ მოწინააღმდეგეთა დერეფნები?

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-4 დეპარტამენტის დირექტორმა მიხეილ კალუგინმა განაცხადა, რომ მოსკოვი მზადაა განიხილოს „ტრამპის მარშრუტი“ (TRIPP), რომელიც სომხეთის სამხრეთ ნაწილზე გაივლის და ერთმანეთთან აღმოსავლეთი და დასავლეთი უნდა დააკავშიროს. მისი ფრთხილი ტონი ასახავს იმას, რომ მოსკოვი აღიარებს აშშ-ის და თურქეთის მოქმედებას რუსული გავლენის ზონაში.

ძველი დერეფნების შენარჩუნებისა და ახლების შექმნისათვის ბრძოლა, როგორც ჩანს, მოვლენების განვითარების საკვანძო სახე იქნება. ეს განსაკუთრებით აქტუალურია იმის გათვალისწინებით, რომ „ტრამპის მარშრუტის“ პერსპექტივა ჯერ კიდევ ბუნდოვანია, რაც სხვადასხვა ვარიაციების შესაძლებლობას ქმნის. საქართველომ უკვე დაიწყო შეშფოთების გამოხატვა თურქეთისა და აზერბაიჯანის მოქმედების გამო, რომელიც მის როლს ემუქრება – როგორც შავი ზღვის ნაპირზე მდებარე ქვეყნის (სატრანზიტო) ფუნქციებს. ამის შედეგად თბილისი ფოკუსირდება არა იმდენად ნატოსთან, არამედ რუსეთთან, ირანთან და ინდოეთთან კავშირებზე.

ირანი, თავის მხრივ, ააქტიურებს თანამშრომლობას ყაზახეთთან და თურქმენეთთან „ჩრდილოეთ-სამხრეთის“ დერეფნის ჩარჩოებში. ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ თუ თურქეთი სამხრეთ კავკასიაში გავლენას გააძლიერებს, ანკარა ვერ შეაღწევს ცენტრალურ აზიაში ხმელეთიდან, ირანის გვერდის ავლით.

მოამზადა
სიმონ კილაძემ

„ეს მინდა ვუთხრა მიეთ-მოეთებს“

(მეშვიდე გვერდიდან)

სიცოცხლის მანძილზე კომპრომატი არც პირად ცხოვრებაში მქონია და არც საზოგადოებრივში. პუბლიკაციებსა და მონოგრაფიებში მხოლოდ იმ მნიშვნელოვან მიგნებებსა და აღმოჩენებს ვასაჯაროვებ, რაც დღეს მეცნიერულად უკვე აღიარებულია საერთაშორისო მასშტაბით. **ამდენად, ჩემი უშვერი ლანძღვის მეტი სხვა გზა ვერ მოძებნეს?** მაგრამ ხომ გაბედეს?! რა დგას რეალურად ამის უკან?!

თუ მკითხველი თავად მიხვდა, ძალიან კარგი! მე, რასაკვირველია, ამის მიხვედრა არ გამიჭირდებოდა, მაგრამ საგაზეთო წერილში ამაზე საუბარი არ მიმაჩნია საჭიროდ.

იმდენი უტრიალეს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს“, რომ ზურიკელას მიამიტ ოცნებებსაც მიადგნენ: „მერე მე ჩამოვიყვან დეიდა მართას ჩემს სოფელში, მოვიყვან ილიკოს და ილარიონს ჩემთან და ჩვენ ყველანი ერთად ვიცხოვრებთ. მე მეყოლება უამრავი შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები, იმათი შვილები და მთელი სოფელი ჩვენ ვიქნებით, მერე ჩვენ გავმრავლდებით უსასრულოდ, უსაშველოდ და მთელი ქვეყანა ჩვენ ვიქნებით. ჩვენ ვიქნებით მთელი ქვეყანა და არასოდეს აღარ დავიხოცებით...“

ფაქტია, რომ მოეწონათ ეს ერთობა და სათავისოდ აიტაცეს. ახლა დეიდა მართას თუ არა, ამერიკაში მცხოვრებ მეგობარ ქალს ჩამოიყვანენ და ასე შეიკვრებიან ერთ მუშტად, მერე პროფესიონალებს არამც თუ ახლოს არ გაიკარებენ, დაარბევენ და გააქრობენ, აი, ისე, როგორც ჩემი გაქრობისკენ მოუწოდებენ საგაზეთო სტატიის დასასრულს. ჯერ მთელი სოფელი თვითონ იქნებიან და მერე გამრავლდებიან უსასრულოდ და უსაშველოდ და მთელი ქვეყანა ესენი იქნებიან. თან ფიქრობენ, აღარც დავიხოცებითო, ანუ ისე, როგორც „მე, ბებია, ილიკო და ილარიონშია“.

წამოახედა ახლა ნოდარ დუმბაძე! როგორ დატუქსავდა ამ ორს: ეს რა მოგსვლიათ, თქვე აბდლებო! ზურიკელას ოცნებებით მე სიყვარული ვამრავლე. ის ხომ ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო, რომელსაც ალალი გულით სურდა, მთელი ქვეყანა მისი ძვირფასი და ახლობელი ადამიანებისგან შემდგარიყო. თქვენ კი მანდ უმეცრებასა და ბოროტებას ქადაგებთო?

მერე რა, თუ ნოდარ დუმბაძე არ იყო დიდი რომაელი პოეტის მსგავსი პრეტენზიის მქონე, რომელმაც ოცი საუკუნის წინ სამარადისოდ გადმოსძახა კაცობრიობას: „omne solum forti patria est“ – „მამაცისათვის მთელი მსოფლიო სამშობლოა“, და არც ზურიკელა იყო ესქილე, რომ ეთქვა – „საკუთარ სიცოცხლეზე მეტად თავმდაბლობა დააფასეთო.“

ამ ყოველივეს ფონზე, რაც აქ აღვწერე, მე მეტის თქმა ამ უკიდეგანო სიბნელესა და უმეცრებაზე არც მომეთხოვება და არც მეკადრება. მათ ნაწერს არც აღრე ვკითხულობდი და ვერც მომავლში წავიკითხავ. მათ კი შეუძლიათ, გაგრძელონ წერა, სადაც უნდათ და რამდენიც უნდათ, ისედაც წერას ატანილები არიან... წერონ, ბატონებო, წერონ... წერონ ისე, როგორც ამას აკაკი იტყოდა:

„წერე, წერე, ჩემო ვარდენ,
მტერს დაასე ისარიო,
თუ მწერალი არ გამოხვალ,
წერას მაინც ისწავლიო“.

ვარდენის მტერი ვინ იყო, ეს აკაკიმ იცოდა, მაგრამ მათი მტერი ვინაა, ეს უკვე მე ვიცი – მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი თავი! რაც ახლა მათ საკუთარ თავს დაატეხეს, მტერიც ვერ მოიმოქმედებდა. ა.გომართელის ამბავი ძალიან გახმაურდა. უნივერსიტეტიდან მაცნობეს, რომ სამეცნიერო პრეტენზიით ა.გომართელს თურმე მხოლოდ ერთი ნაშრომი აქვს ცხოვრებაში შესრულებული – ერთადერთი დისერტაცია – „ქართული სიმბოლისტური პროზა“, რომელიც 1997 წელს დაიცვა და იმავე წელს წიგნად გამოაქვეყნა იმავე სათაურით – „ქართული სიმბოლისტური პროზა“. ასე, რომ კონკურსი რომ გამოაცხადოს აკადემიამ, აკადემიკოსობას კი არა, წევრ-კორობასაც ვერ გაეკარება. მაგაზე ბევრად ღირებულები უნივერსიტეტში ბევრნი ვართო.

* * *

წუხელ ღამით გალაკტიონი დამესიზმრა, ეს ხილვა უფრო იყო, ვიდრე სიზმარი. მისი ხმა ჩამესმოდა:

რაა მასზე გულსაწყვეტი
მეტეხო და დიღმის ველო,
მიდიოდე და ფიქრობდე:
ეს არ არის საქართველო!

მერე ვიღაცას შესჩიოდა: მეცნიერმა ქალმა ჩემს არაერთ საუკუნოვან საიდუმლოს ნათელი მოჰფინა. სანუკვარი ოცნებაც მან ამისრულა, როცა ჩემი შედევრები თარგმნა და მსოფლიოს გააცნო. ამ დროს, მდაგიო მამაკაცები ამ ქალს დასცინიან და შეურაცხყოფას აყენებენ – ეს არ არის საქართველო!

მერე მე მომიბრუნდა და მისთვის ჩვეული ზრდილი იმერის თავმდაბლობით მითხრა: ძვირფასო ქალბატონო, გახსოვთ, მრავალი წლის წინ ჩემს ლექსს რომ თარგმნიდით და თან ფიქრობდით, ნეტა ამ კაცში დიდმა გალაკტიონმა ვინ იგულისხმაო? ახლა ეს კითხვა ხომ აღარ დაგებადებათ?

გაახელ თვალებს –
იქნება გვიან,
დახუჭავ, მაინც ცა არ ენთება...
იარე, კაცი შენ აღარ გქვიან,
შენთვის არასდროს
არ გათენდება.

ამ წერილს ყველა თაობის მკითხველი წაიკითხავს. მინდა, ყველას გავანდო, რომ ცხოვრებაში სხვაც ბევრი შემხვედრია ბოროტი და უგუნური. მთავარი ისაა, რომ მე არ გავბოროტებულვარ და გონიც არ დამიკარგავს. გარწმუნებთ, ძირეულად მპატიებელი პიროვნება ვარ და ადამიანები ისედაც მეცოდებიან ამ წუთისოფელში. ამიტომ მკითხველს პირობას ვაძლევ, თუ ოდესმე „გულდაწყვეტილი“ ს.სიგუა საერთაშორისო აღიარებას მოიპოვებს, თუ ა.გომართელი ღირებულ მკვლევრად ჩამოყალიბდება და საერთაშორისო მასშტაბის მეცნიერი გახდება, მე თავად გავუწევ მათ რეკომენდაციას კონკურსში აკადემიკოსის პოზიციაზე.

აქვე ვაქვეყნებ მათთვის საერთაშორისო აღიარების ნიმუშს, საკუთრივ, მცირე ნაწილს იმ მრავალრიცხოვანი გამოხმაურებებიდან, რაც ჩემს საქმიანობაზე აქამდე თქმულა და დაწერილა:

● „ინესა მერაბიშვილი გახლავთ ბრიტანულ-ქართული ურთიერთობების დიდი მოამაგე. ამ მხრივ მის ღვაწლს მხოლოდ ოლივერ და მარჯორი ვორდროპების მიერ გაწეულ სამსახურს შევადარებდი“, – წერს **სტივენ ნეში,** ინგლისელი დიპლომატი.

● „ინესა მერაბიშვილის 400-გვერდიანი ინგლისურენოვანი მონოგრაფია „Encounter with Lord Byron“ – „შეხვედრა ლორდ ბაირონთან“, ოქროს ასოებით ჩაიწერება ბაირონის შესწავლის ისტორიაში. ეს წიგნი არა მხოლოდ უკეთ გაგაცნობთ ბაირონს, არამედ საშუალებას მოგცემთ, შეიმეცნოთ მდიდარი ქართული კულტურა. ხოლო კულტურის საუნჯეთა შორის ეს წიგნი თავის კუთვნილ ადგილს დაიმკვიდრებს“, – წერს **ნაჟი უჯინი,** ბაირონის საერთშორისო ასოციაციის პრეზიდენტი.

● „თქვენ შეძელით ჩაგეხედათ პოეტური ტექსტის სტრქტურულ და სემანტიკურ სიღრმეთა მრავალფეროვნებაში და ისე მოგეხდინათ მათი მნიშვნელოვანი სინთეზი დედნისა და თარგმანის მაგალითზე. გილოცავთ ამ დიდ მიღწევას“, – წერს **იუჯინ ნაიდა,** უდიდესი ლინგვისტი და თარგმანის თეორეტიკოსი.

● „გალაკტიონის სახით ვიპოვე უმაღლესი რანგის პოეტი, რომელიც სულის ნამდვილი არისტოკრატი და სიტყვიერი სასწაულების შემქმნელია. მადლობას ვუხდი ქალბატონ ინესას ამ ბრწყინვალე კონგენიალური თარგმანისთვის“, – წერს **ლორდ მერეევორსი**, ინგლისელი დრამატურგი და პოეტი.

● „აშკარაა, რომ ინესა მერაბიშვილის მიერ ინგლისური ენის სიღრმისა და სინტაქსის წვდომა აღემატება იმას, ამ ენაზე ბუნებრივად მოსაუბრე ყველაზე განათლებულ ადამიანსაც რომ ხელეწიფება. ინესა მერაბიშვილის, როგორც საქართველოს კულტურის ელჩის ღვაწლი ნამდვილი ლოცვა-კურთხევაა მსოფლიოს პოეზიის თაყვანისმცემლებისთვის“, – **რობერტ გიმსონი,** ამერიკელი დიპლომატი.

● „ინესა მერაბიშვილი არის ის, ვისაც ჩვენს ქვეყანაში ეროვნულ საგანძურს ვუწოდებთ, და იგი იმსახურებს ასეთად იყოს აღიარებული თავის სამშობლოშიც“, – წერს გრაფი **ჯონ ლიტონი,** ლორდთა პალატის წევრი, ლორდ ბაირონის პირდაპირი შთამომავალი.

ინესა მერაბიშვილი,
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, თსუ პროფესორი, თარგმანმცოდნეობის კათედრის ხელმძღვანელი.

კონფერენციის ფარგლებში განიხილეს თემა – „ესთეტიკური გინეკოლოგიის როლი მშობიაროების შემდგომ კომპლექსურ რეაბილიტაციაში“, სადაც წარმოდგენილი იყო თანამედროვე მიდგომები და ახალი კლინიკური გამოცდილება.

ფათმა ჰაჯიევა ორი ქვეყნის მედიცინის აღმავლობას ემსახურება

2025 წლის 13 დეკემბერს თბილისში, საქართველოს რეპროდუქციული ენდოკრინოლოგიის ასოციაციის ორგანიზებით, გაიმართა მრავალპროფილური, აკრედიტებული საერთაშორისო კონფერენცია „კლინიკური გინეკოლოგიისა და უროლოგიის თანამედროვე მიღწევები“ (ACGU).

აღნიშნულ მნიშვნელოვან სამეცნიერო ღონისძიებაზე საქართველოს დედაქალაქში აზერბაიჯანს წარმოადგენდა აზერბაიჯანის რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი სამეანო-გინეკოლოგიური ინსტიტუტის პროფესორი **ფათმა რასიმის ასული ჰაჯიევა.**

პროფესორმა ფ. ჰაჯიევამ კონფერენციაზე ისაუბრა თემაზე „ესთეტიკურ გინეკოლოგიაში თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესაძლებლობები“, სადაც ხაზი გაუსვა ინოვაციური მიდგომების მნიშვნელობას ქალთა ფუნქციურ და ესთეტიკურ რეაბილიტაციას მშობიარობის შემდგომ პერიოდში.

საქართველოს რეპროდუქციული ენდოკრინოლოგიის ასოციაციის ხელმძღვანელმა, აკადემიკოსმა გიორგი თევდორაშვილი თავის გამოსვლაში მაღალი შეფასება მისცა პროფესორ ფათმა ჰაჯიევას სამეცნიერო საქმიანობას და მადლობა გადაუხადა მას კონფერენციაში მონაწილეობისათვის. აკადემიკოსმა აღნიშნა:

– დღეს მსურს წარმოგიდგინოთ პროფესორი ფათმა ჰაჯიევა, რომელიც მოღვაწეობს აზერბაიჯანში. იგი წარმოშობით ქართველია და ჩვენი ქვეყნის დიდი სიყვარულით გამორჩეული მეცნიერია. მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომები და მონოგრაფიები მეტად მნიშვნელოვანია მედიცინის მეცნიერების განვითარებისთვის. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ჩემთვის მისი მონოგრაფიის ქართულ ენაზე თარგმანის წარდგენა, რაც ქართული ხალხის, ქართული სამედიცინო მეცნიერებისა და კულტურისადმი ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის ნათელი გამოხატულებაა, – თქვა აკადემიკოსმა **გ. თევდორაშვილმა.“**

კონფერენციის დასასრულს სამეცნიერო დისკუსიები გაგრძელდა პლენარულ სხდომებზე, გაიმართა კლინიკური გამოცდილების გაცვლა და განიხილეს სამომავლო სამეცნიერო თანამშრომლობის პერსპექტივები.

საკადრისად აღინიშნა

რამდენიმე დღის წინათ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვერსიით წლის საუკეთესო სპორტსმენები გამოვლინდნენ, სეზონის მიწურულს კი, ტრადიციისამებრ, საკუთარი რჩეულნი, შედარებით უფრო პომპეზურ ვითარებაში, სპორტის სამინისტრომაც დაასახელა, ოღონდ ამჯერადაც, როგორც თითქმის ყოველთვის, ლაურეატთა ვინაობა ერთმანეთს ლამის სრულად დაემთხვა.

საზეიმო ღონისძიება სპორტის მინისტრმა **შალვა გოგოლაძემ** სახელმწიფოსადმი მადლიერების გამოხატვით გახსნა ისევე, როგორც მოგვიანებით – ორატორის ამპლუაში ნომინაციებში გამარჯვებულებმა, ხოლო შემდეგ ტრიბუნა ერთმანეთის მიყოლებით დაიკავეს პრეზიდენტმა, პრემიერმა და პარლამენტის თავმჯდომარემ.

საღამოს განმავლობაში რამდენჯერმე გაჟღერდა საამაყო ციფრები: ისტორიაში პირველად, წლეულს ერთბაშად 42 მიღწევა გაუმჯობესდა; უმაღლესი რანგის ფორუმებზე მოპოვებულია 1935 მედალი, საიდანაც დაახლოებით მესამედი ოქროსია.

და ბოლოს: თბილისის ახალ სპორტის სასახლეში გამართულ დაჯილდოებას მხატვრული ფონიც შესაბამისი ჰქონდა შერჩეული მაესტრო **ნიკა ნიკვაშვილის, ნატო მეტონიძისა** და **კონსტანტინე ყიფიანის** სახით. ბრავო!

ნომინაციებში საუკეთესონი

მამაკაცი სპორტსმენი – სანდრო ბაზაძე (ფარიკაობა).
ქალი სპორტსმენი – ეთერ ლიპარტელიანი (ძიუდო).
გუნდი – საქართველოს ძიუდოისტთა ეროვნული ნაკრები.
ახალგაზრდა სპორტსმენი – ვახტანგ ლოლუა (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა).
პარასპორტსმენი ქალი – ანა ჯაფარიძე (პარატაეკვონდო).
პარასპორტსმენი მამაკაცი – გიორგი ქალდანი (პარა-ძიუდო).
სპორტსმენი არაოლიმპიურ სახეობაში – თემურ სამხარაძე (ძალისმიერი სამჭიდი).
გუნდური სახეობა – საქართველოს კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები.

არ ვიქნებით მართალნი, თუ არ ვიკითხავთ: მართალია, ყველა ლაურეატი ღირსეულია, მაგრამ მაინც: რატომ ვერ მოხვდა რომელიმე ნომინაციაში სეზონში 6 ტიტულის მფლობელი, ჩემპიონთა ლიგისა და საკონტინენტთაშორისო თასის ფინალებში პირველი ქართული გოლების ავტორი **ხვიჩა კვარაცხელია?** ველით პასუხს.

ხვიჩა – ტოპ ათეულში!

გამოცემამ FourFourTwo-მ მსოფლიოს ტოპ 100 ფეხბურთელის რეიტინგი გამოაქვეყნა, სადაც საქართველოს ნაკრებისა და „პარი სენ-ჟერმენის“ შემტევი ხვიჩა კვარაცხელია საუკეთესო ათეულში მე-8 ადგილზე დაასახელა.

გამოცემის რეიტინგში პირველ ადგილს ლამინ იამალი იკავებს, მეორეზე ერლინგ ჰოლანდია, ხოლო მესამეზე – ჰარი კეინი.

საუკეთესო ათეულის რეიტინგი შემდეგნაირია:

1. ლამინ იამალი, 2. ერლინგ ჰოლანდი, 3. ჰარი კეინი, 4. უსმან დემბელე, 5. კილიან მბაპე, 6. რაფინია, 7. პედრი, **8. ხვიჩა კვარაცხელია,** 9. ნუნუ მენდეში, 10. ბუკაიო საკა.

შეგახსენებთ, რომ საუკეთესოთა რეიტინგი ცნობილმა გამოცემა Guardian-მაც გამოაქვეყნა, სადაც ხვიჩა კვარაცხელია მე-14 ადგილზე გავიდა.

ტრავმის ფაქტორი

გარსელონას მწვრთნელად ხავი პასკუალის დაბრუნებით კატალონიური გრანდის აღორძინება დაიწყო, თუმცა საქმეში ისეთი ფაქტორი ჩაერია, რომლის წინაშეც მთელი სპორტული სამყარო უძლურია.

საუბარია ტრავმებზე, რაც უშუალოდ აისახა ბოლოდროინდელ შედეგებზე. თუ ლიგა ენდესაში გუნდი ჯერჯერობით წარმატებით ცდილობს სასტარტო დანაკარგის აღმოფხვრას, საკალათბურთო ევროლიგაში ჭირმა თავი ვეღარ დამალა, რაც ესპანელებს ლიდერობის დაკარგვად დაუჯდათ.

შეგახსენებთ, რომ **თორნიკე შენგელიასა** და **იან ვესელის** გარეშე წინა ტურში ბროწეულისფრებმა შინ კევინ პანტერის 43-ქულიანი გმირობით მესამე(!) ოვერტაიმში ბასკონიას სძლიეს – 134:124, მაგრამ საშობაო არდადეგებზე გასვლის წინ უკვე **ვილ კლაიბერნიც** დაუშავდათ და სტამბოლში დასანანი მარცხი იწვნიეს ფენერბახჩესთან – 71:72. ნერვების ომში სტუმრები საფინალო სასტვენამდე 10 წამით ადრე 71:69 იგებდნენ, მაგრამ კეილის ბავშვურ შეცდომას საბედისწერო 3 საჯარიმო მოჰყვა.

სხვათა შორის, ასევე სტამბოლს უკავშირდება ბლაუგრანას წინა მარცხიც, თანაც ისიც ბოლო წამზე საჯარიმოებით, ოღონდ მაშინ ეფესთან პასკუალმა სადებიუტო მატჩი დათმო.

ასეა თუ ისე, ლიდერთა გამოჯანმრთელების შემდეგ თურქული კომპლექსი დასაძლევია.

სატურნირო მდგომარეობა 18 ტურის შემდეგ: ჰაპოელი – 13, ვალენსია, პანათინაიკოსი, გარსელონა – 12, ფენერბახჩე – 11, მონაკო, რეალი, ჟალგირისი, ცრვენა ზვეზდა – 10, ოლიმპიაკოსი, მილანი, დუბაი – 9, ვირტუსი – 8, მაკაბი – 7, პარტიზანი, პარიზი, გასკონია, ეფესი – 6, ბაიერნი, ლიონი – 5 გამარჯვება.

შენიშვნა: ოლიმპიაკოსმა 16 შეხვედრა გამართა, ხოლო ფენერბახჩემ, მონაკომ, რეალმა, ვირტუსმა, მაკაბიმ და პარტიზანმა – 17-17.

ამასწინანდელი უნივერსიადის დროს არაერთმა ახალგაზრდამ მიიქცია დამსწრე საზოგადოების ყურადღება, მაგრამ მათ შორისაც კი გამოირჩეოდა თსუ-ს სამართლის ფაკულტეტის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი მარიამ გოლუბიანი.

ამთავითვე გეტყვით, რომ ამ ცქრიალა ცისფერთვალება 22 წლის გოგონას გვარი ასე შეესაბამებოდეს გარეგნობას, აღსანიშნავი ფაქტია. სიმბოლური გახლავთ ისიც, რომ სწორედ მისი დიდი ბაბუის ბიძაშვილი ბრძანდებოდა თურმე დედის მხრიდან დიდი **ივანე ჯავახიშვილი,** ხოლო წინაპრები გულბანები ჰყოლია.

რაც შეეხება პროფესიას, იურისტობა ასევე დედის სურვილი ყოფილა, მაგრამ ვერ აისრულა და დედაქალაქის 130-ე საჯარო სკოლის ოქროს მედალზე დასრულების შემდეგ საქმეში მისი დედისერთა ქალიშვილი ჩაერია...

– ბუნებრივია, დავინტერესდით თუ რა აკავშირებდა სპორტთან.

– სტუდენტური თვითმმართველობის პიარის დეპარტამენტში მუშაობის პერიოდში ვაწყობდით ღონისძიებებს სხვადასხვა სახეობებში, ხოლო მე და მამა რეგულარულად ვესწრებოდით ძიუდოისტთა პრესტიჟულ ტურნირებს. მეამაყება, რომ სამახსოვრო ფოტოები გვაქვს გადაღებული, მაგალითად, **ნიკო შერაზადიშვილთან** ერთად. მახსოვს, ჯარიდან დაბრუნების შემდეგ მამა რომ ამბობდა, 90კილო ავწიეო. ამუამად იგი სტიქაროსანია. ისე, როგორც ბევრი ბავშვი, მეც დავდიოდი ცურვაზე და გატაცებული ვიყავი როგორც ცეკვით, ისე ფიტნესით.

– ახლა კი უმაღლეს განათლებას დავუბრუნდეთ.

– რაც შეეხება სწავლას, ბაკალავრიატის შემდეგ თემას მოგვიანებით შემირჩევენ და დაზუსტდება როგორც სავალდებულო, ისე ასარჩევი საგნები, უფრო კონკრეტულად კი სისხლის სამართლის მიმართულებისკენ ვიხრები.

– და ბოლოს, გაგვაცანი, როგორც სვანმა, როგორია შენი პირადი დამოკიდებულება მთის სამართლის მიმართ.

– უპირველესად, როგორც მომავალი იურისტი, მივიჩნევ, რომ მთის სამართალს განსაკუთრებული სისასტიკე ახასიათებდა, რასაც ბევრი გვარი შეეწირა, ხოლო როგორც თანამედროვე რიგითი პიროვნება ალბათ, უსამართლობის შემთხვევაში დიდხანს დავფიქრდებოდი, თუ როგორ მოვქცეულიყავი.

გია პლატონიშვილი

მომავალს ვეტერანი გაწვრთნის

2026 წლის 1 იანვრიდან საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს ვეტერანი ბორჯღალოსანი გიორგი ნემსაძე დაიკავებს.

41 წლის გიორგი ნემსაძემ რაგბის თამაში 15 წლის ასაკში ქუთაისის „აიაში“ დაიწყო. 2007 წლიდან ის საფრანგეთში გადავიდა, სადაც სხვადასხვა დროს „დომონის“, „მასის“, „მონტობანის“, „აჟენისა“ და „ტარბის“ ღირსებას იცავდა. 2016 წლიდან მან ბრიტანეთს მიაშურა და სამი წლის განმავლობაში ინგლისურ „ბრისტოლში“, ხოლო 2018-2019 წლებში უელსურ „ოსფრიზში“ თამაშობდა.

მეორე-მესამე ხაზში მოთამაშე ნემსაძის სანაკრებო დებიუტი 2005 წელს ჩილეს წინააღმდეგ შედგა. 14 წლის განმავლობაში ის ბორჯღალოსანთა შეუცვლელი მოთამაშე იყო და ჯამში 95 კეპი მოიხვეჭა, რომლებშიც 14 ლელო გაიტანა. ის 2011, 2015 და 2019 წლების მსოფლიო თასის მონაწილეა, გუნდთან ერთად კი 10-ჯერ გახდა რაგბი ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული.

მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ, ის მშობლიურ კლუბს, „აიას“ დაუბრუნდა და კაცთა გუნდის ასისტენტ-მწვრთნელობასთან ერთად, ჭაბუკთა მ ლიგასაც ავარჯიშებდა. ამის შემდეგ გახდა ქუთაისის სარაგბო სკოლის ხელმძღვანელი და „აიას“ ჭაბუკთა ა ლიგის მთავარი მწვრთნელი, ბოლო ორი წელი კი „აიას“ კაცთა გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტს იკავებს. 2025 წლის ზაფხულიდან, გიორგი ნემსაძე პარალელურად საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებში შერკინების მწვრთნელად მუშაობდა. 1 იანვრიდან ის 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი იქნება.

„საქართველოს ნაკრებში მუშაობა საინტერესო, საამაყო და საპასუხისმგებლო საქმეა.საქართველოში დაბრუნების შემდეგ ყველა ასაკობრივ გუნდთან ვიმუშავე, რადგან მსურდა ჩემი თვალით მეხილა სპეციფიკა. ზოგადად, ბავშვთა რაგბიში მუშაობა საინტერესო პროცესია. მწვრთნელის ფუნქციაა დაეხმაროს მოთამაშეებს, რათა ისინი უკეთესები გახდნენ და ბავშვთა რაგბიში ეს ფუნქცია ორმაგდება.

ოფიციალური დებიუტი გაზაფხულზე, ექვსი ერის ფესტივალზე მექნება. რაც შეეხება თაობას, ის ზოგჯერ კარგია და ზოგჯერ კიდევ უფრო უკეთესი. ჩემი მთავარი მიზანია მათ განვითარებას სწორი მიმართულება მივცე და მეტი ხარისხიანი მოთამაშეები აღვუზარდო როგორც 20-წლამდელთა, ასევე ეროვნულ ნაკრებს. მთავარი აქცენტი უკეთესი თამაშის ხარისხზე გაკეთდება“ – ამბობს **გიორგი ნემსაძე**.

ქედაში ისტორიული მეჩეთი დაიწვა

ქედაში, სოფელ ცხმორისში, ისტორიული მეჩეთი დაიწვა. ცხმორისის მინარეთიან მეჩეთს აჯარის უძრავი ძეგლის სტატუსი ჰქონდა. მისი პირველი სართული თლილი ქვით იყო ნაშენი, მეორე სართული კი – ხით.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ცხმორისის მეჩეთი 1892-1893 წლებში უნდა იყოს აშენებული. საბჭოთა პერიოდში სალოცავი დაკეტილი და უფუნქციო იყო.

ცხმორისის მეჩეთს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2006 წელს მიენიჭა.

მძევლად საკუთარი ბებია აიყვანა

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის სიღნაღის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, წარსულში ნასამართლევი და ამჟამად პიროზითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, 1993 წელს დაბადებული გ.კ. ოჯახის წევრის მძევლად ხელში ჩაგდების გრალდებით დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ გრალდებულმა მძევლად აიყვანა საკუთარი ბებია – 1950 წელს დაბადებული ნ.კ. და მისი ყოფილი მეუღლის საზღვარგარეთიდან ჩამოყვანას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ბებიის სიცოცხლის მოსპობით იმუქრებოდა. სამართალდამცველებმა ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად გრალდებული ადგილზე დააკავეს. ნ.კ. სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. დანაშაული 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარუდგინეს!

საქართველოს პროკურატურამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენის, შენახვის და რეალიზაციის ხელშეწყობის ფაქტზე ორ პირს ბრალდება წარუდგინა, – ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა რომ ბრალდებულები საქართველოში ამანათით გამოგზავნილ განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 184,5 გრ. ნარკოტიკულ საშუალება „ალფა-პვპ“-ს შემცველი ხსნარის მიღებას ცდილობდნენ, რომელიც 4 ცალ პოლიმერულ მასალის ბოთლში იყო მოთავსებული.

სამართალდამცველებმა აღნიშნული ნარკოტიკული ნივთიერება ამოიღეს. ასევე ბრალდებულების დროებითი საცხოვრებელი სახლის ჩხრეკის შედეგად ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით, 5.057697 გრ. ნარკოტიკული საშუალება „ალფა-პვპ“-ს შემცველი ფხვიერი ნივთიერება და ნარკოტიკული საშუალების დაფასოებისთვის საჭირო ნივთები.

დაკავებულებს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19- 260-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ბ'' და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა და შენახვის მცდელობა), 260-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ „დ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ არაერთგზის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა) და 260 კვარტა მუხლის მეხუთე ნაწილის „გ“, „დ“ და მეექვსე ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, არაერთგზის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო რეალიზაციის ხელშეწყობა) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ გრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა უკვე შეუფარდა.

გაქნილი თაღლითი გამოიჭირეს!

თბილისის პროკურატურის თაღლითობის სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველომ დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2025 წლის მაისიდან ამავე წლის ოქტომბრის ჩათვლით, დიდი ოდენობით თანხის მოტყუებით დაუფლების მიზნით, ბრალდებული დაზარალებულებს შეუთანხმდა, რომ მათ კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე ააშენებდა საცხოვრებელ სახლებს. ბრალდებულმა თითქოსდა სამშენებლო მასალის შესაძენად და მშენებლობის დასაწყებად, დაზარალებულებს ჯამში 72 500 ლარი ჩაარიცხვინა. მიუხედავად შეთანხმებისა, ბრალდებულმა არ დაიწყო მშენებლობა და მოტყუებით დაეუფლა დაზარალებულთა კუთვნილ თანხებს.

დაკავებულს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით, სამი ეპიზოდი) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ფატმა მუსტაფაევას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ფატმა მუსტაფაევა (პ/ნ 28001021534), მარნეული, სოფელი ახლომახმუდლო, მე-9 ქუჩა N10

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: მარნეული, სოფელი ახლომახმუდლო, მე-9 ქუჩა N10 (საკადასტრო კოდი: 83.09.10.819)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 6000 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2025 წლის 26 დეკემბერი, 12:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2026 წლის 9 იანვარი, 14:00 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის N71271HZP120596725; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1205967

6. მოვალე: ფატმა მუსტაფაევა (პ/ნ 28001021534), მარნეული, ს. ახლომახმუდლო, მე-9 ქუჩა N10

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP120596725; ლოტის ნომერი: 1205967).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 8 იანვრის 18:00 საათამდე.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი კვახაძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: გიორგი კვახაძე (პ/ნ 01001066163), თბილისი, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩა N36

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ამბროლაური, სოფელი ხოტევი, მე-12 ქუჩა N21 (საკადასტრო კოდი: 86.13.21.475)

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 76502.80 ლარი.

3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2025 წლის 26 დეკემბერი, 12:00 საათი.

4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2026 წლის 9 იანვარი, 14:15 საათი.

5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის N71271HZP120597825; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1205978

6. მოვალე: გიორგი კვახაძე (პ/ნ 01001066163), თბილისი, ვლადიმერ ჯანჯღავას ქუჩა N36

7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.

8. აუქციონის პირობები:

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP120597825; ლოტის ნომერი: 1205978).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2026 წლის 8 იანვრის 18:00 საათამდე.

ქართული ღვინის რეკლამა მანჰეტენზე

ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners" ორგანიზებით, აშშ-ში ქართული ღვინის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში, ქალაქ ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, ავტობუსის 18 გაჩერებაზე სარეკლამო „ლაით-ბოქსებში" განერები განთავსდა.

ე.წ. „Outdoor" (გარე სივრცე) კამპანია 4 კვირის განმავლობაში გრძელდება და ორიენტირებულია მომხმარებელზე. წელიწადის აღნიშნული დრო, კერძოდ, საშობაო პერიოდი გაყიდვების კუთხით ყველაზე აქტიურია, რაც ხელს შეუწყობს სამიზნე აუდიტორიის ზრდას და, შესაბამისად, დადებითად აისახება ექსპორტის მაჩვენებელზე.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, 2013 წლიდან მიმდინარე მიზანმიმართულმა მარკეტინგულმა აქტივობებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი როგორც ქართული ღვინის ცნობადობის, ისე ექსპორტის ზრდას აშშ-ში. კამპანიის ფარგლებში, აშშ-ის სხვადასხვა ქალაქში, ღვინის პროფესიონალებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლებისთვის დეგუსტაციებ-სემინარები იმართება; ქართული ღვინო წარმოდგენილია საერთაშორისო გამოფენებზე; მედიის, სომელიეებისა და გაყიდვების სფეროს წარმომადგენლებისთვის ეწყობა ღვინის ტურები საქართველოში, რაც ხელს უწყობს ქართული ღვინის უკეთ გაცნობასა და პოპულარიზაციას ამერიკულ ბაზარზე.

ქართული ღვინის სარეკლამო კამპანია აშშ-ში ბოლო 3 თვეში განსაკუთრებით გააქტიურდა. ქართული ღვინის წარდგენა არაერთ ღონისძიებაზე გაიმართა. ქართული ღვინის შესახებ ვრცელი სიუჟეტი მოამზადა აშშ-ში ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ღვინის შოუმ – „V is for Vino" . ამასთან, ქართული ღვინის დეგუსტაციები ჩატარდა ამერიკის სხვადასხვა ქალაქებისა და შტატების მსხვილ სუპერმარკეტების ქსელებსა და საცალო ობიექტებში.

სამი უნიკალური ალბომი ხელოვნების სასახლიდან

საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით ხელოვნების სასახლემ სამი შესანიშნავი ალბომი გამოსცა: ხელოვნების სასახლის დამაარსებლის დავით არსენიშვილის დაგადებიდან 120 წლის იუბილის აღსანიშნავად გამოვიდა ფერადი 250-გვერდიანი კატალოგი, ეს ჩვენი მუზეუმის შესახებ პირველი ამ მასშტაბისა და ტიპის გამოცემაა.

გამორჩეული თეატრალური მხატვრის დიმიტრი თავაძის ხსოვნას მიეძღვნა 200-გვერდიანი ფერადი კატალოგი, რომელშიც მხატვრის უნიკალური ნამუშევრების გამორჩეული კოლექცია შევიდა და თანამედროვეობის გრწყინვალე მხატვრის თამაზ ხუციშვილის შემოქმედებას მიეძღვნა 300-გვერდიანი, ფერადი კატალოგი, რომელიც მხატვრის თითქმის მთელ შემოქმედებით გზას მოიცავს!

სამტრედიელებს უეფას კატეგორიის სტადიონი ექნებათ

ინფრასტრუქტურის მინისტრმა რევაზ სოხაძემ და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა დავით გახტაძემ ცენტრალური სტადიონის ტერიტორია ადგილზე დაათვალიერეს და პროექტირების პროცესის დაწყებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს.

ახალი სტადიონი გათვლილი იქნება დაახლოებით 6 000 მაყურებელზე და სრულად დააკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს.

თანამედროვე სპორტული ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამტრედიის მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარებას, ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და შექმნის პირობებს ეროვნული და საერთაშორისო დონის სპორტული ღონისძიებების გამართვისთვის, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ოცდამეერთე საუკუნის ინოვატორები, რომლებიც მსოფლიოს აკვირვებენ...

ინოვაციები და ტექნოლოგიები ახალგაზრდებში კიდევ უფრო პოპულარული ხდება. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილემ ზვიად გაბისონიამ ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის 2025 წლის გამარჯვებული გუნდების დაჯილდოებაში მიიღო მონაწილეობა.

მან ფინალისტებს წარმატება მიულოცა და სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა კონკურსის მნიშვნელობაზე, რომლის ფარგლებშიც ქვეყანაში არაერთი მომავალი ინოვატორი და ნიჭიერი ახალგაზრდა გამოვლინდა.

2025 წლის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსის მთავარი პრიზი – NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში გამგზავრება გუნდმა **„კლასტერები"** მოიპოვა.

კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის N199 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა პროექტი RescuedBy შექმნეს. პროექტი მიზნად ისახავს დრონებზე დაფუძნებული, ხელოვნურ ინტელექტზე დამყარებული საძიებო-სამაშველო სისტემის შექმნას, რომელიც რთულად მისადგომ რეგიონებსა და კატასტროფის ზონებში დაკარგული ადამიანების სწრაფ და ეფექტურ აღმოჩენას უზრუნველყოფს.

მეორე ადგილზე გასული გუნდი – **„არმმო"**, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს (GITA) დაფინანსებით, აშშ-ში, სტენფორდის უნივერსიტეტში, ტექნოლოგიების ბანაკში მიიღებს მონაწილეობას. თბილისის N 9, ფოთის N5 საჯარო სკოლისა და ბრიტანულ-ქართული აკადემიის მოსწავლეებისგან შემდგარმა გუნდმა, შექმნა პროექტი **„ტარებადი ეგზოსკელეტი პოსტინსულტური, მოტორული დარღვეული ფუნქციების აღსადგენად."** ეგზოსკელეტი განკუთვნილია ინსულტის ან ფიზიკური ტრავმის შედეგად დაზიანებული ზედა კიდურის ფუნქციონირების ეტაპობრივი აღდგენისათვის.

მესამე ადგილზე გასული გუნდი – „RiskTrackers"-ის ლიბერთი ბანკის დაფინანსებით, სასწავლო ვიზიტით შვეიცარიაში, ევროპის ბირთვული კვლევების ორგანიზაცია CERN-ს ეწვევა. გუნდის წევრებმა შექმნეს პროექტი, რომლის მიზანია მონიტორინგის ინტეგრირებული სისტემის შექმნა, რომელიც მეწყერსაშიშ ზონებში ნიადაგის გადაადგილებისა და ნალექიანობის მონაცემებზე დაყრდნობით მეწყრის, წყალმოვარდნისა და ხეობებში წყლის დაგუბების საფრთხეების დროულად პროგნოზირებას ახდენს.

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაგელიძე,
გია პლატონიშვილი.**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქოგულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოგებჯდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com

**ნებისმიერი თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790**

**მომდევნო
ნომერი
გამოვა
ორშაბათს,
29 დეკემბერს**